გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 37
(11 391)

12 – 15 მაისი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ნიკოლოზ ბიბილაშვილმა ოქროს გასაღებით შეაღო ევროპის სამბოს ელიტაში შესასვლელი კარები


ნიკოლოზ ბიბილაშვილი

სულ ახლახან, ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა წარმატებებზე ვიუწყებოდით. ისინი შინ დაბრუნდნენ და ანალოგიური ჩემპიონატის გზას გაუდგნენ უფროსები — ეროვნული ნაკრების წევრები. მადრიდში, ამ ასპარეზობაზე 18 ქვეყნის წარგზავნილებს შორის, საქართველოდან სარბიელზე 7 ფალავანი გამოვიდა.

სპორტის ამ სახეობაში შესანიშნავი ტრადიციები გაგვაჩნია, რაშიაც უდიდესია მწვრთნელთა დამსახურება, რომლებიც გაჭირვებული ყოფის მიუხედავად, შეგირდებს ბედის ანაბარად არ ტოვებენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მადრიდში ქართული სამბოს კიდევ ერთი ახალი ლიდერი გამოვლინდა. ეს ფაქტი გასახარია უფრო

*იხ. მე–7 გვ.*

## ჩემპიონთა ლიგა

### ნახევარფინალები
### განმეორებითი მატჩები

**ბაიერნი – რეალი 2-1 (პირველი მატჩი – 0-2)**
*გოლები:* 1-0 იანკერი (12), 1-1 ანელკა (32), 2-1 ელბერი (54).

**ბარსელონა — ვალენსია 2-1** *(პირველი მატჩი — 1-4).*
*გოლები:* 0-1 მენდიეტა (69), 1-1 ფრანკ დე ბური (78), 2-1 კოკუ (90).

ფინალი: რეალი — ვალენსია.
24 მაისი. პარიზის „სტად დე ფრანსის“ სტადიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე:

1. რეალი ფინალშია. ანელკა (მარცხნივ) და რობერტო კარლოსი;

2. ბარსელონა — ვალენსია. მენდიეტას ცაციამ ვალენსია ფინალში გაიყვანა;

3. დე ბურის გოლმა ბარსას ვერ უშველა;

4. ბაიერნი — რეალი. რეალის კართან ძალიან ცხელოდა.

## სფფ კონვენციას მიუერთდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სულ მალე მიუერთდება ევროპის იმ ქვეყნების კონვენციას, რომლებსაც უფლება ეძლევათ უეფას სისტემით ჩაატარონ მწვრთნელთა მოსამზადებელი სწავლება და გასცენ შესაბამისი ლიცენზია. კონვენციის ქვეყნების მწვრთნელებს კი უფლება ეძლევათ დაუბრკოლებლად იმუშაონ კონვენციას მიერთებულ ნებისმიერ ქვეყანაში.

## „დინამოში“ ჯერ არავინ მისულა

*ქუთაისის „ტორპედოსთან“ სათასო მატჩის შემდეგ თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ გუნდი მიატოვა, თუმცა ეს განზრახვა მას ადრეც ჰქონია, კერძოდ, ჯერ კიდევ 6 მაისს, ბათუმში გამართული მატჩის შემდეგ მოუსურვებია გადადგომა, მაგრამ განზრახვა ახლა მოიყვანა სისრულეში. ამ ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, უპირველესად თვით კლუბში. გავრცელდა სხვადასხვა ინფორმაცია სავარაუდო მწვრთნელებზე, თითქოს გუშინ უნდა დასმოდა წერტილი ვარაუდებს, მაგრამ ვნებათაღელვა ვნებათაღელვად დარჩა. ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. გუნდს ჯერჯერობით რიგითი მწვრთნელები უხელმძღვანელებენ.*

*შეხვედრა რომის პაპთან და იტალიის ფეხბურთის მესვეურებთან იხ. მე–7 გვ.*

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

*იხ. მე–4 გვ.*

## 19–20–21 მაისი. ვერეს პარკის კალათბურთის სასახლე. მსოფლიოს ღია ჩემპიონატი საეჯიბრო სპორტულ ცეკვებში „კავკასიის თასი–2000“ (IDSF OPEN)

მონაწილეობენ: საქართველოს, აშშ-ის, გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის, ბელარუსიის, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ოსეთის საუკეთესო მოცეკვავე წყვილები და გუნდები. საჩვენებელი გამოსვლით გამოვა ამერიკის შეერთებული შტატების კონკურსების მრავალგზის გამარჯვებული წყვილი გოჩა ჩერტკოევი და შორენა გაჩეჩილაძე (აშშ, ტეხასი, დალასი)
ბილითები გაიყიდება ტურნირის დღეებში კალათბურთის სასახლეში.
დასაწყისი: 11 და 17 საათზე.

ქალთა ეროვნული ჩემპიონატი

## ჩემპიონი და მეორე პრიზიორი ოლიმპიადის საგზურს გაითამაშებენ

გუშინ, თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა ქალთა ეროვნული ჩემპიონატი. ასპარეზობა საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მონაწილეობდა 3 საერთაშორისო დიდოსტატი, 7 საერთაშორისო ოსტატი, 3 ფიდეს ოსტატი, 7 ეროვნული ოსტატი. ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს წარმოადგენდნენ. სულ 40 ქალი ჩაება ასპარეზობაში. გათამაშდა 9 ტური შვეიცარიული სისტემით. ჩემპიონატის ორგანიზატორი იყო მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი. მთავარი მსაჯი — ევგენი მელიქსეთბეგი.

2000 წლის საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა სოფიკო ტერელაძემ — 7 ქულა, მეორე ადგილზე გავიდა ინგა ხურცილავა — 7, მესამეზე — ანა მათნაძე — 6,5.

10 ივნისს იქვე, ჭადრაკის სასახლეში გაიმართება 4-ტურიანი მატჩი გამარჯვებულ ტერელაძესა და მეორე პრიზიორ ხურცილავას შორის ოლიმპიური გუნდის კანდიდატის გამოსავლენად.

ამ ჩემპიონატში ოსტატობის ნორმატივი მეორედ შეასრულა ტერელაძემ, პირველად წიქარიშვილმა.

**რუსუდან ჭკუასელი,**
**მირანდა ცინარიძე,**
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჟურნალისტიკის III კურსის სტუდენტები

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

## ნომერშია:

- საქართველოს საფეხბურთო ცხოვრება
- ქართული ფეხბურთის სახელმწიფო პროგრამის პროექტი
- უდისციპლინოებს არ ინდობენ!
- **უცხოეთის ფეხბურთის ამბები**

**ჭადრაკი**

## საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი (წრიული სისტემით მიმდინარეობს) თავის მხრივ მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირისათვის შესარჩევი შეჯიბრებაა, რომელიც ალე ერევანში გაიმართება და მასში საქართველოს პირველობის 12 მონაწილიდან 5 უძლიერესი მიიღებს მონაწილეობას.

შეჯიბრებაში 5 დიდოსტატი და 7 საერთაშორისო ოსტატი და ეროვნული ოსტატი ჩაება. დიდოსტატებს ჩვენი გულშემატკივრები კარგად იცნობენ, ახალგაზრდებში ყურადღებას იპყრობს 16 წლის ბაადურ ჯობავა, რომელმაც საქართველოს პირველობის შესარჩევ შეჯიბრებაში საოცარ შედეგს მიაღწია — 9 შესაძლებლიდან 8,5 (!) ქულა მოაგროვა.

აი წილისყრის შედეგები: 1. საერთაშორისო დიდოსტატი გია ბაღათუროვი. 2. საერთაშორისო დიდოსტატი გიორგი ყაჭეიშვილი, 3. ბაადურ ჯობავა. 4. საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ სტურუა. 5. თამაზ მგელაძე, 6. საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გელაშვილი, 7. ხვიჩა სუპატაშვილი, 8. მიხეილ მჭედლიშვილი, 9. ბეგლარ ჯობავა. 10. ზვიად იზორია. 11. საერთაშორისო დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, 12. დავით ლობჟანიძე.

***I ტური:*** ბაღათუროვი — ლობჟანიძე 1-0, ყაჭეიშვილი — ბ. გურგენიძე 1-0, ბაად. ჯობავა — იზორია 1-0, სტურუა — ბეგ. ჯობავა 1-0, მგელაძე — მჭედლიშვილი 0,5:0,5, გელაშვილი — სუპატაშვილი 0,5:0,5.

***II ტური:*** ლობჟანიძე — სუპატაშვილი 0,5-0,5, მჭედლიშვილი — გელაშვილი 1-0, ბეგ. ჯობავა — მგელაძე 0,5-0,5, იზორია — სტურუა 0,5:0,5, გურგენიძე — ბაად. ჯობავა 0-1, ბაღათუროვი — ყაჭეიშვილი 0-1.

***III ტური:*** ყაჭეიშვილი — ლობჟანიძე 0,5:0,5, ბაად. ჯობავა — ბაღათუროვი 0-1, სტურუა — გურგენიძე 1-0, მგელაძე — იზორია 0,5:0,5, გელაშვილი — ბეგ. ჯობავა 1-0, სუპატაშვილი — მჭედლიშვილი 0,5:0,5.

***IV ტური:*** გურგენიძემ მოუგო მგელაძეს, ლობჟანიძემ — მჭედლიშვილს, ყაიმზე შეთანხმდნენ ბაღათუროვი — სტურუა, ყაჭეიშვილი — ბაკურ ჯობავა, იზორია — გელაშვილი და ბეგლარ ჯობავა — სუპატაშვილი.

ოთხი ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ დიდოსტატები ყაჭეიშვილი და სტურუა.

**მარიკა ჯაფარიძე,**
ჩემპიონატის მსაჯი, ეროვნული არბიტრი

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და კალათბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 53 წლისა გარდაიცვალა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი კალათბურთში**

**გოგი ავალიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**





# ოლიმპიურ თამაშებს 126 დღე გვაშორებს

**მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია, საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.**

*ედუარდ შევარდნაძე*

## 50 წლის წინათ...

***თბილისი.*** ჭადრაკში 1950 წლის ჩემპიონი თბილისის მოსწავლეთა შორის გახდა გივი გამრეკელი, გოგონებში — ნათელა მანველოვა.

***ლენინგრადი.*** „ნაუკას" საკავშირო პირველობა ტანვარჯიშში მოიგო საქართველოს ნაკრებმა. 6 იარაღზე პირველობდა თ. სანებლიძე.

***ხარკოვი.*** „მედიკის" საკავშირო პირველობა ტანვარჯიშში საქართველოს გუნდის გამარჯვებით დასრულდა. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო თბილისელი ეთერ გაგოშიძე, რომელმაც მოიგო ექსპიდი და რგოლებზე ვარჯიში.

***ქუთაისი.*** სოფ. გეგუთში ჩატარდა სპარტაკიადა. 13 წლის მხედარი ა. კილაძე პირველი იყო მარულაში.

***ბათუმი.*** ფრენბურთში ქალაქის ჩემპიონები გახდნენ „დინამოს" ვაჟთა და ფაბრიციუსის სახელობის კლუბის ქალთა გუნდები.

***გეგეჭკორი.*** პედსასწავლებლის მოჭადრაკეთა ტურნირში ქალთა შორის პირველობა მოიპოვა ნ. ბალაშვილმა, ვაჟებში — ი. ჯღარკავამ.

***ბათუმი.*** 6 ქალაქის მატჩში კალათბურთში ფინალში ბათუმელებს სძლიეს ქათაისელებმა 54:47.

***ბაქო.*** აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩში გაიმარჯვეს საქართველოს მძლეოსნებმა.

***ზუგდიდი.*** ქალაქის პარკში მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საცურაო აუზი.

***ბორჯომი.*** რაიონის პირველობაზე მძლეოსნობაში გაიმარჯვეს 100 მ. რბენაში გ. შენგელაშვილმა — 13,0 წ; ქალებში — ნ. გოგოლაძემ — 14,1, 3 კმ-ზე რბენა მოიგო ა. გელაშვილმა, ქალებში სიმაღლეზე ხტომაში კი ყველას აჯობა თ. ბლუაშვილმა.

***ივანოვო.*** კლასიკურ ჭიდაობაში პროფკავშირთა საკავშირო პირველობაში გაიმარჯვეს დავით ციმაკურიძემ (ქვემძიმე) და გივი კარტოზიამ (საშუალო წონა).

# დადგა თუ არა სკოლის ზოგიერთი დირექტორის თვითნებობის დასასრულის დასაწყისი?

საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ თავისუფლების მოპოვება, ცხოვრების ბევრ სფეროში თვითნებურად ალიქვეს და ყველამ კარგად იცით თუ რა შედეგებამდე მივედით. სამწუხაროდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უმალვე გაჩნდა ე.წ. მეორეხარისხოვანი საგნები, რომელთა შორის, ასევე სამწუხაროდ, აღმოჩნდა სასკოლო ფიზიკური აღზრდა. ყველამ დაივიწყა, რომ სულიერი და ფიზიკური აღზრდა ერთ უღელში შებმული ორი გამწევი ძალაა, რომელიც სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდას უზრუნველყოფს.

სასკოლო ფიზაღზრდის ტოტალური მოძულების პროცესი კარგა ხანს გრძელდებოდა, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ თბილისის მერია განათლების მთავარ სამმართველოსთან მოსწავლეთა ფიზკულტურულ-სპორტულ გაერთიანებას შექმნიდა და მის თავკაცად უნარიან ხელმძღვანელს ვაჟა ჭკუასელს დანიშნავდა. ფაქტობრივად ეს ახალი და, შეიძლება ითქვას, მეტად საჭირო სტრუქტურა, ძირითადად შეიქმნა მერიის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების ბაზაზე, რომლის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კარლო ჩხაიძისა და მიხეილ ფილიევის გამოცდილება დიდად წაადგა ახალშექმნილ გაერთიანებას ეფექტურად წარემართა საქმიანობა. მოკლედ, სასკოლო ფიზაღზრდისა და სპორტის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული საქმიანობის წარმართვას პატრონი გამოუჩნდა. ეს სკოლებმაც იგრძნეს, თუმცა ჯერ სრულად არა, მაგრამ თანდათან მაინც მოითოკა და ალიკვეთა იქ გამეფებული თვითნებობა. მეტი პასუხისმგებლობა იგრძნეს განათლების რაიონულმა განყოფილებებმა, მათთან არსებული სპორტული სკოლები კი ისევ იქცნენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოორდინატორებად. თქვენ წარმოიდგინეთ, ღია საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკაც აღსდგა და წლის საუკეთესო ფიზაღზრდის მასწავლებელსაც ავლენენ, და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, კვლავ ტარდება თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომელიც ამჯერად მიმდინარეობს და რიგით 54-ეა.

იყო დრო, როცა განათლების მინისტრის საგანგებო ბრძანებით ფიზიკური აღზრდის პროცესზე და სპორტულ მუშაობაზე უშუალო პასუხისმგებლობა სკოლის დირექტორს ეკისრებოდა. ასევე სპეციალური ბრძანება მოითხოვდა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მხოლოდ სპეციალისტებს ემუშავა.

სასკოლო ფიზაღზრდისა, სპორტის მნიშვნელობისა და ავტორიტეტის დასაბრუნებლად ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურა მუშაობა დედაქალაქის ჩუღურეთის (განათლების განყოფილების გამგე მანანა ავალიშვილი), ისნის (ვენერა ჩიფჩიური), საბურთალოს (გია ზენაიშვილი), დიდუბის (მერაბ ბოქოლიშვილი), ნაძალადევის (დემურ კალანდაძე) რაიონებმა. გამოკვეთილია სამაგალითო სკოლებიც: №36 (დირექტორი კამოს სიმონგულაშვილი, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი დავით ნიკლაური), №37 (მედეა ხავთასი, ლუდმილა შევცოვა), №24 (ლია იოსელიანი), №114 (გულიკო გაბიტაშვილი), №172 (მურმან ჩანთაძე)...



## გოდერძი შურლაის თავდადებაში დროს კორექტივები ვერ შეაქვს

ამ შესანიშნავ პედაგოგს იცნობენ არა მარტო ნაძალადევის რაიონში, არამედ მთელ თბილისში და, ასე განსაჯეთ, მთელ საქართველოში.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1971 წ) გ. შურლაია ზუგდიდისა და სოხუმის სხვადასხვა სკოლებში მუშაობდა. ორი წელიწადი თბილისის 114-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელია – სკოლისა, რომელიც ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა 2000 წლის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. ეს მაშინ, როცა წინა წლებში ბოლო ადგილებს იკავებდა.

გოდერძი შურლაიას აღსაზრდელები ადრე ორჯერ გახდნენ „იმედის სტარტების" რესპუბლიკური პირველობის ჩემპიონები (სოხუმის №2 სკოლა), ფინალში გავიდნენ არტეკში გამართული „იმედის სტარტების" საკავშირო ფინალურ თამაშებში.

გოდერძი შურლაია, დამსახურებულად სახლდებოდა საქართველოს ფიზაღზრდის მასწავლებელთა საუკეთესო ათეულში, დაჯილდოებულია „საქართველოს სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, როგორც „საბავშვო სპორტის საუკეთესო ორგანიზატორი".

„სპორტული ბაზების მშენებლობა-კეთილმოწყობის" საკავშირო დათვალიერება – კონკურსში მიიღო გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი პრემია. დაჯილდოებული იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის ბრინჯაოს მედლითა და საპატიო სიგელით ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე ორგანიზაციისათვის. ამჟამად ეს ცნობილი სპეციალისტი საქართველოს წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდებაზეა წარგენილი.

ამ ერთი კვირის წინ გ. შურლაიამ თავის სკოლაში ღია საჩვენებელი გაკვეთილი ჩაატარა მძლეოსნობაში VII ა კლასში, რომელსაც თბილისის მერიის განათლების სამმართველოს მოსწავლეთა ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანებისა და რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. ეს დღე სკოლის სპორტულ ზეიმად იქცა – გაიმართა სხვადასხვა შეჯიბრებები. ფრენბურთსა და ბადმინტონში გაიმარჯვეს X კლასელებმა (თეა ხუტაშვილი, სოფიკო ანჯაფარიძე, სოფიკო მერაბიშვილი), მინიფეხბურთში უძლიერესი იყო VIII ბ კლასი, ჭადრაკში პირველობა მოიპოვეს ზურაბ მირჩიაშვილმა (VI კლ) და ლელა რუხაძემ(VIII), „მხიარულ სტარტებში" VI ბ კლასის მოსწავლეებმა იყოჩაღეს.

ბოლოს კალათბურთელთა საჩვენებელი გამოსვლა და კონცერტიც გაიმართა.

**ც. ბაქრაძე,**
**რობერტ ყარსელი**



2000 ჩემპიონი!

*სურათებზე: გოდერძი შურლაია გაკვეთილზე; „მხიარული სტარტების" მომენტი. „მხიარულ სტარტებში" გამარჯვებული VI ბ კლასი; 114-ე სკოლის სტუმრები და მასპინძლები.*

*(სერგო ბაგოიანის ფოტოები).*

## ეძღვნება ისტორიულ თარიღებს

**საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავს ეძღვნება მძლეოსნური გარბენი მარშრუტით: თბილისი – მცხეთა, გორი – ხაშური – ზესტაფონი – ქუთაისი, რომელიც სტარტს აიღებს თბილისში თავისუფლების მოედანზე 23 მაისს, 10 საათზე.**

**გარბენი გარდება ზემოხსენებული ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული პროგრამის ჩარჩოში და მის გამართვას სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ხელმძღვანელობს.**

## „მართვე" აღსდგა

*ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის შუამდგომლობით, ქვეყნის პრეზიდენტმა სპეციალური განკარგულებით აღადგინა სამხედრო სპორტული თამაში „მართვე". უკვე გაიმართა თბილისის რაიონული პირველობები, გამარჯვებულები ათივე რაიონიდან კი შაბათს, 13 მაისს, სოფელ მისაქციელთან საქალაქო პირველობაში იასპარეზებენ. ინფორმაცია მოგვაწოდა თბილისის მთავარი სამმართველოს მოსწავლეთა ფიზკულტურულ-სპორტულმა გაერთიანებამ.*

3
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

დარღვევები და სასჯელი

# იქცევა თუ არა სასჯელი გაკვეთილად?

სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის 10 მაისის სხდომაზე დღის წესრიგში შესული საკითხები უკვე განხილვამდე იწვევდა შეშფოთებას. მით უფრო, რომ განსასჯელი იყო ბავშვთა ფეხბურთში მომხდარი დარღვევები. ერთი რამ აშკარა თავიდანვე გახდა: როცა მატჩებს ხან მშობლები, მასპინძელი გუნდის მწვრთნელები და ხან ვინ მსაჯობს (თუ ამას მსაჯობა ჰქვია). კარგს ნამდვილად არაფერს უნდა ველოდეთ და ეს რბილადაა ნათქვამი.

მ. მესხის თასზე ქუთაისის „დინამოსა“ და წყალტუბოს „სამგურალის“ მატჩი მასპინძელთა მწვრთნელმა იმსაჯა. შეხვედრაზე არბიტრი არ დაინიშნა. ასე იყო პირველ წრეში წყალტუბოში, როცა მატჩი „სამგურალის“ მწვრთნელმა იმსაჯა. ფაქტიურად, ჯგუფის ფინალურ მატჩს იმერეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციას (მათი ეგიდით ტარდება ეს ტურნირი) სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. „მსაჯის“ გადაწყვეტილებამ ჯერ უკმაყოფილება, შემდეგ კი ხელჩართული ჩხუბი გამოიწვია გუნდების ფეხბურთელთა შორის. თამაში ჩაიშალა, ჩხუბი სტადიონის გარეთაც გაგრძელდა. სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტმა მხარეებს მოუსმინა და ორივე გუნდს წაგება ჩაუთვალა და საერთოდ მოხსნა გათამაშებიდან, ჩხუბის ამტეხი ვერც ერთი ფეხბურთელი ტურნირის დასრულებამდე სხვა გუნდში ვერ გადავა. მიეთითა იმერეთის რეგიონულ ფედერაციას. ბავშვთა ფეხბურთზე სჯა-ბაასი ამით არ ამოწურულა. გ. ჩოხელის თასზე „ხალიბი“ – „დინამო-83“-ის მატჩისას რუსთაველმა მწვრთნელმა მურმან გოგოლაძემ მსაჯს ხმამაღლა შეაგინა, მერე კი ჩხუბიც დაუწყო. თუმცა, მატჩის შემდეგ უსამართლოდ გალანძღულ მსაჯს ბოდიში მოუხადა. რუსთაველთა მწვრთნელი, რომელიც მრავალი წელია ფეხბურთში მოღვაწეობს და საკმაო წარმატებითაც, მკაცრად გააფრთხილეს, ასეთი საქციელი მის კვალიფიკაციას ნამდვილად არ შეეფერება.

სხდომამ დიდხანს გასტანა. კომიტეტს აპრილ-მაისში ბევრი საკითხი დაგროვებია, იყო წითელ-ყვითელი ბარათების თვლა, მაყურებელთა უსაქციელობის სავალალო შედეგებზე და ქართული ფეხბურთის ჭირად ქცეულ სხვა პრობლემებზე ცხარე კამათი.

ზუგდიდის „დინამოსა“ და ქობულეთის „შუქურას“ მატჩისას ზუგდიდელთა პრეზიდენტი ბუკია და მთავარი მწვრთნელი ბადრი თუთბერიძე შეურაცხყოფდნენ მსაჯებს. სტადიონზე არ იყო წესრიგი, რისთვისაც სტადიონს პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს, კლუბი 1000 ლარით დაჯარიმდა, მის პრეზიდენტს და მთავარ მწვრთნელს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური ბოლო გაფრთხილებით.

დარჩელის „ჩელასა“ და ზუგდიდის „მეგრის“ მატჩისას მაყურებელი მსაჯს კახაბერ მესხს აგინებდა, ხოლო შეხვედრის დასრულების შემდეგ მსაჯთა ბრიგადას წიხლებით შესდგა რამდენიმე ათეული კაცი. ფეხბურთის მსაჯულთა ვერდიქტი საკმაოდ მკაცრი იყო – „დარჩელის“ სტადიონი დისკვალიფიცირებულია წლის ბოლომდე. მოითხოვეს კლუბის პრეზიდენტისა და გუნდის უფროსის სამსახურიდან განთავისუფლება, კლუბს სამი ათასი ლარის ჯარიმა დაეკისრა. სადისციპლინო კომიტეტი ამ ფაქტს კიდევ დაუბრუნდება. თითქმის ანალოგიური უმსგავსოება მოხდა ასპინძაში. „ვარძია“ – „იბერიის“ მატჩის მაყურებელმა მსაჯი ჩოჩიშვილი შეურაცხყო. სამწუხაროდ, ასპინძელთა სტადიონზე ასეთი ინციდენტი პირველად არ ხდება. სასჯელიც შესაბამისია – სტადიონის დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე. კლუბი კი 500 ლარის ჯარიმას

იხ. მე-4 გვ.



საქართველოს თასი

1/2 ფინალი
მეორე მატჩები

### ტორპედო (ქუთაისი) – დინამო (თბილისი) 0-0, (1-1)

**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (შეყრილაძე 85), დ. ჯანაშია (ბობოხიძე 89), გ. მეგრელაძე (იმედაძე 65), ჩხეტიანი, თურმანიძე, ახვლედიანი, ხვადაგიანი.

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე (მონასელიძე 75), ნემსაძე, წიტაიშვილი, სიჭინავა, გ. შენგელია (ზირაქიშვილი 65), გუჩუა. ანჩაბაძე (მინაშვილი 55), შაშიაშვილი.

*მსაჯი:* თ. ლაცაბიძე (სურამი).

*გაფრთხილება:* წიტაიშვილი. დ. ჯანაშია

### დინამო (ბათუმი) – ლოკომოტივი (თბილისი) 1-0, (0-2)

**დინამო:** ჩლაიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე (ღლონტი 60), სიდამონიძე, ი. მახარაძე, გელა ქორიძე, (მაჭუტაძე 75), ხომერიკი, ა. მუჯირი, აფხაზავა (ტუღუში 55).

**ლოკომოტივი:** ლომაია, ლ. მიქაძე, აბრამიძე, ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, ბალაშვილი, გ. კვარაცხელია (დ. გოდერძიშვილი 78), ხიზანიშვილი, გოგიჩაიშვილი, რუსია (ძოძუაშვილი 80), ჯუღელი.

*მსაჯი:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

*გოლი:* 1-0 შ. ხუჯაძე (24)

*გაფრთხილება:* გელა ქორიძე, ხიზანიშვილი, აბრამიძე.

# „ტორპედოს“ თასთან სიახლოვე გაუტკბა

*მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღეს – 9 მაისს საქართველოს თასის მე-10 გათამაშების ფინალისტების ვინაობაც შევიტყვეთ. ქუთაისის „ტორპედო“ ზედიზედ მეორედ ისევ ფინალშია. შეუპოვარი მატჩები ვიხილეთ, ისეთი, როგორც მოასპარეზეთ ეკადრება. „ტორპედომ“ და „ლოკომოტივმა“ პირველ მატჩებში მიღწეული უპირატესობა აღარ დათმეს და თასის ფინალს გაშინაურებული თბილისელი და ბათუმელი დინამოელები ნახევარფინალში შეაჩერეს. ბათუმელთა შინ მინიმალური ანგარიშით გამარჯვება საერთო წარმატებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ ორ რაუნდიან პაექრობაში კი ორი ფრე აღინიშნა, რასაც დინამოს მწვრთნელის ოთარ კორღალიძის გადადგომა მოჰყვა. თბილისურ მატჩში გიორგი მეგრელაძის მიერ გატანილმა ლამაზმა გოლმა „ტორპედო“ ფინალში გაიყვანა. ქუთაისური გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ეს დავით ყიფიანის პირველი წარმატებაა და ალბათ შარშანდელი მიღწევის გამეორებით კლუბის სახელოვან ისტორიაში კიდევ ერთი აღსანიშნავი თარიღი ჩაიწერება. ფინალში ყიფიანის შეგირდებს, ეროვნულ ნაკრებში მისი კოლეგის რევაზ ძოძუაშვილის რკინიგზელები შეერკინებიან. მართლაც რომ საინტერესო წყვილია, ვინ აჯობებს, დაცვითი სისტემის ზედმიწევნით მცოდნე ძოძუაშვილი თუ შეტევითი ფეხბურთის მიმდევარი ყიფიანი? ერთი რამ თვიდანვე შეიძლება ითქვას, 26 მაისის ფინალი კარგი სანახავი უნდა გამოდგეს, თანაც ნაკრების მწვრთნელებს საშუალება მიეცემათ ეროვნული გუნდის კანდიდატები ფიცხელ, დაძაბულ ბრძოლაში იხილონ, სადაც უკეთ გამოჩნდება მათი მომზადების დონე, ასეთები კი ორივე კლუბში საკმაოდაა. ფინალური მატჩი თამამად შეიძლება ორმაგად სასარგებლო გამოდგეს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელებისათვის. მანამდე კი გადავხედოთ გუნდების მიერ ფინალამდე განვლილ გზას. „ტორპედოც“ და „ლოკომოტივიც“ თასისთვის პაექრობაში 1/16 ფინალიდან ჩაებნენ.*

*ქუთაისელებმა თანმიმდევრულად ადვილად დაამარცხეს ჯერ „სამეგრელო“ 7-0. 4-0, და „აკადემია“ 5-0, 2-0, მერე შარშანდელი ფინალის მეტოქე „სამგურალი“ 0-0, 2-0, ნახევარფინალში კი თბილისის „დინამო“ 1-1, 0-0. „ტორპედოსთან“ შედარებით „ლოკომოტივს“ ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მეტოქეთა წინაამდეგობა მაინც დასძლია, რაც გუნდის მტკიცე ხასიათზე და მიზანდასახულობაზე მიუთითებს. „ლოკომოტივის“ პირველი მეტოქე „უმცროსი ძმა“ მეორელიგელი „ლოკომოტივი“-2 იყო 5-0, 3-1, თანაკლუბელთა დამარცხების შემდეგ რკინიგზელებმა ორ მატჩში ერთი ბურთით აჯობეს „თბილისს“ 1-1, 1-0. მეოთხედფინალში უმძიმესი ორთაბრძოლა გადაიტანეს „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრაში და პენალტებით ნახევარფინალში გავიდნენ 0-0, 0-0 პენ. 3-1.*

*„ტორპედოს“ მხარეზე გამოცდილებაა, ახალგაზრდულ „ლოკომოტივს“ კი გუნდის ისტორიაში პირველი სერიოზული წარმატების მიღწევა სწყურია.*

## გიორგი კიკნაძეს სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრება

გიორგი კიკნაძის ტრანსფერის საქმე დღემდე მოუგვარებელია. იგი მაისის ბოლომდე დინამოდან „სამსუნსპორში“ არენდით იყო გაშვებული, მაგრამ დეკემბერში თვითნებურად დატოვა გუნდი და „ალანიაში“ ვარჯიშობდა. თურქულმა კლუბმა საქმის ვითარების გასარკვევად ფიფას მიმართა და ფეხბურთელის გუნდში დაბრუნება მოითხოვა. ფიფამ მაისის დადგენილებით დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება და ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მისცა, სანამ არ დაბრუნდება თურქულ კლუბში, ან სატრანსფერო თანხა არ დაიფარება.

## საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ლიგა, II ეტაპი

### XI ტურის ანონსი ● მსაჯები და ინსპექტორები

**I–VIII ადგილები**
**12-13 მაისი**

**დინამო (თბ) – ტორპედო**

*ურთიერთშეხვედრები*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 20 | 14 | 3 | 3 | 51-20 |
| თბილისში: | 10 | 9 | 1 | 0 | 34-10 |

*ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები*
დემეტრაძე (დინამო თბ.) – 6
ხუნდაძე (ტორპედო) – 3.

ინსპექტორი ა. მილჩენკო, მთ. მსაჯი კ. მესხი, ასისტენტები: სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი ს. კვარაცხელია.

**სიონი – დინამო (ბთ)**

*ურთიერთშეხვედრები*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 11 | 2 | 2 | 7 | 5-17 |
| ბოლნისში: | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 |

*ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები*
ჩომახიძე, მოსეშვილი (სიონი) – 1-1
აფხაზავა (დინამო ბთ) – 4

ინსპექტორი გ. ფირცხალავა, მთ. მსაჯი მ. მალაღურაძე, ასისტენტები: ელიკაშვილი, ლ. სილაგავა, მეოთხე მსაჯი ორდინიძე.

**დილა – კოლხეთი-1913**

*ურთიერთშეხვედრები*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 22 | 8 | 2 | 12 | 21-35 |
| გორში: | 10 | 6 | 1 | 3 | 13-6 |

*ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები*
ნეფარიძე, ლომიძე (დილა) – 3-3
თვარაძე (კოლხეთი-1913) – 4

ინსპექტორი ა. დურსუნიში, მთ. მსაჯი ი. კახიანი. ასისტენტები: მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი თ. ლაცაბიძე.



**ვიტ-ჯორჯია – იბერია**

*ურთიერთშეხვედრები*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 |
| თბილისში | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 |

*ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები*
გოჩაშვილი, გიორგი ქორიძე (ვიტ ჯორჯია) – 2-2
ვ. გიგიაძე (იბერია) – 1

ინსპექტორი მ. ლაცაბიძე. მთ. მსაჯი დ. სანაია, ასისტენტები: ბუიშვილი, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი ასკარ-ოღლი.



**IX–XVI ადგილები**

**თბილისი – თსუ**

*ურთიერთშეხვედრები*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 |

*ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები*
ადამია, ერაძე (თსუ) – 1-1

ინსპექტორი ბ. ქარქაშაძე, მთ. მსაჯი ალ. მეშკოვი, ასისტენტები: ხუციშვილი, თბილელი, მეოთხე მსაჯი მაისურაძე.

**არსენალი – ლოკომოტივი**

*ურთიერთშეხვედრები*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 5 | 0 | 2 | 3 | 3-9 |
| შინ: | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 |

*ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები*
არსენალიდან სამმა ფეხბურთელმა თითო გოლი გაიტანა.
რუსია (ლოკომოტივი) – 3.

ინსპექტორი ი. მჭედლიშვილი, მთ. მსაჯი ა. შალამბერიძე, ასისტენტები: კიკაჩეიშვილი, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი ანიაშვილი.

**მერანი-91 – კოლხეთი**

*ურთიერთშეხვედრები*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 |
| თბილისში: | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 |

*ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები*
თითო გოლზე მეტის გატანა ვერც ერთმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო.

ინსპექტორი ნ. კაკულია, მთ. მსაჯი ა. შილაკაძე, ასისტენტები, ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი დოგრაშვილი.

**გორდა – სამგურალი**

*ურთიერთშეხვედრები*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 18 | 10 | 1 | 7 | 34-25 |
| რუსთავში: | 9 | 9 | 0 | 0 | 31-10 |

*ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები*
გ. კილასონია (გორდა) – 6
მ. მეგრელაძე (სამგურალი) – 5

ინსპექტორი ნ. ამირეჯიბი, მთ. მსაჯი ო. გუნთაძე, ასისტენტები: ჯვარიძე, დოლიძე, მეოთხე მსაჯი მაისურაძე.

# ტურისწინა მიმოხილვა

გახსოვთ 13 მაისი? აბა ვის დაავიწყდება ქართული ფეხბურთის უდიდესი გამარჯვება, დინამოს დიდებული თამაში და კონტინენტის დაუვიწყარი თასების თასი. ხვალ 13 მაისია, 19 წლის შემდეგ თბილისის დინამოს კვლავ დიდი მატჩი ელის, ამჯერად ეროვნულ ჩემპიონატში, მაგრამ ამით მისი მნიშვნელობა სულაც არ მცირდება. ფაქტიურად ეს შეხვედრა თბილისურ-ქუთაისური სპორტული დაპირისპირების გაგრძელებაა, რომელიც ბევრ კითხვას გასცემს პასუხს, შეიძლება სატურნირო ვითარებაც განმუხტოს და ყველას თუ არა, გუნდების უმრავლესობას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინოს გათამაშების ცხრილში. ვერავინ იტყვის „დინამოს“ ჩემპიონობა არ სურსო, გაიმარჯვებენ თბილისელები და მათ კიდევ დარჩებათ გაჩემპიონების და მსოფლიო რეკორდის დამყარების შანსი. 11-ჯერ ზედიზედ ეროვნული ჩემპიონატი ჯერ არავის მოუგია. მისცემს კი ამის საშუალებას „ტორპედო“, რომელიც ჩემპიონობასთან ასე ახლოს არასოდეს ყოფილა, მას ხომ 13 მაისის ერთ-ერთი შემოქმედი დავით ყიფიანი თავკაცობს, პიროვნება, რომელსაც შეუძლია ერთადერთი მწვრთნელი გახდეს, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში ორ სხვადასხვა გუნდს სანუკვარ ჯილდოს მოაპოვებინებს. მოკლედ, საფიქრალი და გადასაწყვეტი ორივე გუნდს აქვს, თუ როგორ შეძლებენ ამას, თვით მატჩი გვიჩვენებს. დავით ყიფიანს უეჭველია გამარჯვება სწყურია, ხვალ ხომ 13 მაისია. თანაც არც დუბლის შესრულებაა აუხდენელი ოცნება. ტურის სხვა წყვილებში – ვიტ-ჯორჯიას სატურნირო მდგომარეობის განმტკიცების ძალა შესწევს, იგი სამტრედიულ „იბერიას“ მასპინძლობს, გორელები მოღონიერებულ ფოთის „კოლხეთს“ მიიღებენ, ბათუმის „დინამო“ ამერს ესტუმრება და ბოლნისში ჩავა. თითოეულ მათგანს ლოკალური საკითხები აქვს გადასაწყვეტი. ტურისა და ალბათ ჩემპიონატის უმთავრესი მატჩი კი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება, ისევ „დინამო“ – „ტორპედო“ – წლეულს ლიდერთა მეექვსე და დასკვნითი შერკინება.

მე-11 ტურს ტრადიციულად „ბ“ ზონის გუნდები გახსნიან. „თბილისი“ სტუდენტებს მიიღებს. წარმატების შემთხვევაში თსუ საბოლოოდ გადაწყვეტს ლიგაში დარჩენის საკითხს, თუმცა ამაში მას რუსთავის „გორდა“ უნდა დაეხმაროს, რომელიც მის კონკურენტს „სამგურალს“ შინ ეთამაშება. ისე, გამარჯვება „გორდასაც“ არ აწყენდა.

თბილისის „მერანი“ უკვე გავარდნილ ხობის „კოლხეთს“ უმასპინძლებს და თუ მოიგო, ზონის ლიდერის პოზიციები უფრო გაუმყარდება. თასის ფინალისტი „ლოკომოტივი“ თანაქალაქელ მეთოფეებს ეთამაშება. „არსენალში“ არსებულ ვითარებას და „ლოკომოტივის“ სათასო წარმატებებს თუ გავითვალისწინებთ, ერთმანეთის საპირისპირო სიტუაციის მოწმენი გავხდებით. რკინიგზელებმა ცუდად დაწყებულ სეზონს ჩინებული ფინიში მოაყოლეს, ლიგაში ადგილიც შეინარჩუნეს და თასის ფინალშიც გავიდნენ. არსენალის საქმე პირიქითაა, დასაწყისში იყო დიდი მიზნები, დღეს კი... ალბათ სპორტულს, რომ თავი დავანებოთ, „ლოკომოტივის“ მხარეზე ფსიქოლოგიური უპირატესობა ნამდვილად არის.





### მ. მესხის და ს. მეტრეველის ტურნირების ფინალური ეტაპის წილისყრა

**მ. მესხის ტურნირი**

*მერვედფინალი:* ხაშური – გორდა; ტორპედო (ქუთ) – მერანი; კოლხეთი (ფოთი) – ქობულეთი; სურამი – თელავი; მამული – ახმეტა; სულაქველიძის აკადემია – დინამო (ბთ); მართვე (ქუთ) – ლაზიკა; დინამო (თბ) – ვაკე;

მატჩები გაიმართება 15-19 მაისს, მეოთხედფინალები – 23-27 მაისს. ნახევარფინალები – 31 მაისს, ფინალი – 5 ივნისს.

**ს. მეტრეველის ტურნირი**

*მერვედფინალი:* ავაზა – 2 (87) – ლაგოდეხი, დინამო (ბთ) – ორბი (გორი); ავაზა-86 – ლაზიკა; ხაშური – მერანი (თბ); თელავი – მამული (რუსთ). ლანჩხუთი – ფოთი; კოლხიდა – ტორპედო; დინამო (თბ) – მერცხალი (რუსთ).

მატჩები ჩატარდება 17-22 მაისს, მეოთხედფინალები – 26-30 მაისს, ნახევარფინალები – 3 ივნისს, ფინალი – 8 ივნისს.

# საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამა

**პროექტი**

## სახელმწიფო პროგრამა ქართული ფეხბურთისთვის

**ფეხბურთი კარგა ხანია გასცდა სიტყვა „სპორტის“ ცნებას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს იგი უფრო საყოველთაო, უფრო სოციალური, მეტიც – უფრო სახელმწიფოებრივი მოვლენაა. საფეხბურთო მატჩების დროს ლოჟებში თავს იწონებენ მეტოქეთა ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელები და ზოგჯერ არჩევნებშიც კი მათ წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ამა თუ იმ კანდიდატის დამოკიდებულება ფეხბურთისადმი.**

**ათი წელიწადია, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა, მაგრამ იმთავითვე ვერა და ვერ დამყარდა მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის. საბედნიეროდ, ამ ბოლო ხანებში ორივე მხარემ შემხვედრი ნაბიჯები გადადგა ქართული ფეხბურთის გადასარჩენად, რასაც მკაფიოდ ადასტურებს ორმხრივი ძალისხმევით შემუშავებული პროგრამა, რომლის პროექტსაც დღეს გთავაზობთ. საქმის მკვდარი წერტილიდან დაძვრაში დიდი წვლილი შეიტანეს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თედო ისაკაძემ და სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა დაზმირ ჯოჯუამ, მისმა მოადგილემ მერაბ ჯაფარიძემ.**

### 1. ფეხბურთის შემდგომი განვითარების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

*მიზანი:* ფეხბურთის განვითარებისათვის სრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა; კანონქვემდებარე აქტების, დებულებების, ინსტრუქციების შემუშავება, სათანადო ნორმატივების დამტკიცება; საფეხბურთო კლუბების, სპორტული სკოლების, ფედერაციის სხვა სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის სისტემის სრულყოფა.

*განსახორციელებელი ღონისძიებანი:*

**1. ფეხბურთის სფეროში მოღვაწე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა, მათ შორის ურთიერთობათა დარეგულირების მექანიზმის შემუშავება**[*](2000 წლის III კვარტალი)[**] – *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია*[***].

**2.ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, მსაჯთა, სპეციალისტთა და ფეხბურთის მუშაკთა საზღვარგარეთ გასვლისა და მუშაობის, ასევე სხვა ქვეყნებიდან მათი მოწვევის წესის განსაზღვრა**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**3.ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან კონტრაქტების გაფორმების წესის მარეგლამენტირებელი დოკუმენტის შემუშავება**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**4.ფეხბურთის განვითარების პროპაგანდული უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება ჟურნალისტიკის, ტელევიზიისა და კინოს საშუალებათა გამოყენებით** (2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია.*

**5.წინადადებების შემუშავება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული ნაკრები გუნდების წევრთა წვრთნისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად; სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების და საერთაშორისო შეჯიბრებების პერიოდში ნაკრებ გუნდებში მათი მივლინების წესის განსაზღვრა**(2000 წლის III კვარტალი)– *საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**6.ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონული, საქალაქო და რაიონული ფედერაციების დახმარება და კონტროლი**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

### 2. ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის განვითარება

*მიზანი:* მოზარდთა შორის პოპულარიზაცია, მათი მასობრივ ჩაბმა საფეხბურთო სექციებში, საბავშვო კლუბებში; ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში მომეცადინე მოზარდთა რაოდენობის ზრდა, ქუჩის მავნე გავლენისაგან მათი მოწყვეტა; ქვეყნის ნაკრები და საკლუბო გუნდებისათვის კვალიფიციური სპორტული რეზერვის მომზადება.

*განსახორციელებელი ღონისძიებანი:*

**1.ქვეყნის მასშტაბით არსებული საფეხბურთო სპორტული სკოლების დისლოკაციის დახვეწა, არსებული ტრადიციებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით** (2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, სპორტული საზოგადოებები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**2.ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზაღზრდის პროგრამებში ფეხბურთის ჩართვა**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**3.მსხვილი ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფეხბურთის სპეციალიზებული კლასების გახსნა** (2001 წლიდან) – *საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**4.ეზოსა და ქუჩის ფეხბურთის განვითარების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება**(2000 წელი) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ფონდი „ფეხბურთი ბავშვებს“.*

**5.საფეხბურთო სპორტულ სკოლებში საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების საქმიანობის აღდგენა წვრთნის უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფის მიზნით** (2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, სპორტული საზოგადოებები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**6.საქალაქო რაიონული შეჯიბრებების სისტემატურად ჩატარება ქუჩისა და მინი-ფეხბურთში** (ყოველწლიურად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**7.ბავშვთა ლიგის ჩატარება სამ ასაკობრივ ჯგუფში:**

**- ჩოხელის თასი;**
**- მესხის თასი;**
**- მეტრეველის თასი.**

(აღნიშნული პუნქტის განხორციელება ბავშვთა და ჭაბუკთა შეჯიბრებებზე სრული კონტროლის დაწესების საშუალებას იძლევა. ბავშვთა ლიგის ჩამოყალიბება სამ ასაკობრივ ჯგუფში პრაქტიკულად დაალაგებს და მოაწესრიგებს ბავშვთა ფეხბურთს საქართველოში) (ყოველწლიურად) – *საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რეგიონული ფედერაციები, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, შპს „საქართველოს რკინიგზა“, საქართველოს განათლების სამინისტრო.*

### 3. სამოყვარულო (მასობრივი) ფეხბურთის განვითარება

*მიზანი:* მოსახლეობის ფართო ფენების ფეხბურთში მასობრივად ჩართვა; ფეხბურთის დანერგვა უმაღლეს სასწავლებლებში, წარმოება-დაწესებულებებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით; მასობრივი შეჯიბრებებისა და ტურნირების ორგანიზება, გამაჯანსაღებელი მუშაობის სისტემაში ფეხბურთის აქტიურად ჩართვის მიზნით.

*განსახორციელებელი ღონისძიებანი:*

**1.სტუდენტური საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბება მინი-ფეხბურთში (ფუტზალის წესებით)** (2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, მინი-ფეხბურთის ფედერაცია.*

**2.ჩემპიონატის ჩატარება ინვალიდთა, ვეტერანთა და ქალთა გუნდებს შორის**(2000 წლის III კვარტლიდან) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ქალთა ფეხბურთის ფედერაცია, ინვალიდთა ასოციაცია, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.*

**3.დარბაზისა და მინი-ფეხბურთის განვითარების უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის ტურნირის ორგანიზება**(ყოველწლიურად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**4.ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბების ქსელის გაფართოება, მათი აქტიური ჩართვა ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში** (სისტემატუ-რად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**5.მოყვარულთა შორის საქართველოს რეგიონული პირველობის ჩატარება**(სისტემატურად) – საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რეგიონული ფედერაციები, რეგიონების ხელმძღვანელობა.

### 4. ფეხბურთის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

*მიზანი:* ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; საფეხბურთო მოედნებისა და ბაზების გამტარუნარიანობის გაზრდა; არსებული ნაგებობების აღდგენა, ახლის მშენებლობა, სათანადო ტექნიკური საშუალებებითა და ინვენტარით მათი აღჭურვა.

*განსახორციელებელი ღონისძიებანი:*

**1.წინადადებების შემუშავება ფეხბურთის სტადიონების, მოედნებისა და ბაზების აქციონერებისა და პრივატიზების შემდგომ მათი პროფილის აუცილებელი შენარჩუნების გარანტიების მიზნით**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**2.საუწყებო საფეხბურთო მოედნებისა და სტადიონების დაუყოვნებლივ წესრიგში მოყვანა და ფეხბურთის სამსახურში მათი ჩაყენება**(სისტემატურად) – *სამინისტროები და უწყებები, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი.*

**3.წინადადებების შემუშავება იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიმართ დროებითი შეღავათების შემოღების შესახებ, რომლებიც აწარმოებენ ფეხბურთის სტადიონების, მოედნებისა და ბაზების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია*

**4.წინადადებების შემუშავება ფეხბურთის მოედნებისა და სტადიონების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმეში წილობრივი მონაწილეობის, კრედიტებისა და აქციონერული კაპიტალის გამოყენების მიზნით**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**5.ხელოვნურსაფარიანი მინი-ფეხბურთის მოედნების ქსელის გაფართოება**(სისტემატურად)– *ქ. თბილისის მერია, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივი ფედერაციები.*

**6.საქართველოს ეროვნული და სხვადასხვა ასაკის ნაკრები გუნდებისათვის კეთილმოწყობილი საწვრთნელი ცენტრების აშენება ლაგოდეხში, შავიზღვისპირეთსა და მცხეთაში** (2000-2003 წლები) – *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**7.წინადადებების შემუშავება ქვეყანაში არსებული სტადიონებისა და საწვრთნელი ბაზების რეკონსტრუქციის უზრუნველსაყოფად, ფიფასა და უეფას მოთხოვნების გათვალისწინებით**(2000-2001 წლები) – *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, სამინისტროები, უწყებები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**8.საფეხბურთო სპორტული სკოლების უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ინვენტარით**(სისტემატურად) – *საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი, სკოლების დამფუძნებლები, განათლების სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**9.ახალი საცხოვრებელი კვარტლების მშენებლობისა და ძველის რეკონსტრუქციისას მარტივი ტიპის ფეხბურთის მოედნების მოწყობის გათვალისწინება** (სისტემატურად) – *მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, ქ. თბილისის მერია.*

**10.ქ. თბილისში ნ. დუმბაძის სახელობის ბავშვთა აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელ კომპლექს 'მზიურის“ ტერიტორიაზე საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა**(2000-2001 წლები) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ქ. თბილისის მერია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ფონდი „ფეხბურთი ბავშვებს“.*

**11.თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის დამთავრება:**

**ა) განათების დაყვანა მინიმუმ 1200 ლუქსამდე, რათა თბილისში შესაძლებელი გახდეს მატჩების ჩატარება ფიფასა და უეფას ეგიდით** (01.08.2000) – *ქ. თბილისის მერია – სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი“;*

**ბ) ყოველწლიურად 10 ათასი პერსონალური სკამის დამატება** (I პარტია - 01.08.2000);

**გ) სფფ-სა და სპორტის ხელმძღვანელთათვის ერთი ლოჟის გამოყოფა** (01.08.2000) – საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია;

**დ) პრეს-ლოჟის მოწყობა ფიფასა და უეფას სტანდარტებით** (01.08.2000) – საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.

### 5. მწვრთნელთა და მსაჯთა კადრების მომზადება

*მიზანი:* ფეხბურთის მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა სპეციალისტთა პროფესიული დონის ამაღლება; მათი მოღვაწეობის სფეროში თანამედროვე მეთოდების დანერგვა; ცოდნისა და ჩვევების სისტემატური განახლება; ამ ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

*განსახორციელებელი ღონისძიებანი:*

**1.ფეხბურთის ფედერაციაში არსებული მწვრთნელთა და მსაჯთა მუდმივმოქმედი კურსების ქმედითუნარიანობის ამაღლება ფიფასა და უეფას რეკომენდაციების გათვალისწინებით. უცხოელ სპეციალისტთა მოწვევა, მოწინავე გამოცდილების გაზიარება** (სისტემატურად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**2.ფიფასა და უეფას ეგიდით მოწყობილ „პროგრეს კურსებში“ მწვრთნელთა და მსაჯთა აქტიურად ჩართვა**(სისტემატურად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**3.ბავშვთა მწვრთნელების მომზადება და ლიცენზირება** (სისტემატურად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია.*

**4.საზღვარგარეთის საფეხბურთო კლუბებში და ცენტრებში მწვრთნელთა სტაჟირება**(სისტემატურად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**5.მსაჯთა კორპუსის გაახალგაზრდავების და რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა** (სისტემატურად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია.*

**6.წინადადებების შემუშავება მსაჯთა პროფესიის შემოღებასთან დაკავშირებით**(2000 წლის III კვარტალი) – *სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**7.მსაჯთა სემინარების რეგულარულად ჩატარება ტესტირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით** (სისტემატურად)– საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია.

### 6. ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და სპეციალისტთა სოციალური დაცვა

*მიზანი:* ფეხბურთში მოღვაწეობით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა; პროფესიონალ ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და სპეციალისტთა სოციალური დაცვის გარანტიების შექმნა; ვეტერან ფეხბურთელთა ღვაწლის სათანადოდ დაფასება; ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მიგრაციის პროცესების შეჩერება.

*განსახორციელებელი ღონისძიებანი:*

**1.ნორმატიული აქტების შემუშავება საფეხბურთო კლუბებსა და ნაკრებ გუნდებში შრომით ურთიერთობათა მოწესრიგების მიზნით**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**2.ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, სპეციალისტთა, მსაჯთა, ფეხბურთის მუშაკთა, ვეტერან ფეხბურთელთა სოციალური დაცვის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება**(2000 წლის III კვარტალი) – *ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**3.ვეტერანთათვის და მათი ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა**(სისტემატურად) – *საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი.*

### 7. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

*განსახორციელებელი ღონისძიებანი:*

**1.პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სახსრების მიზნობრივად გამოყოფა 2001 წლისა და მომდევნო წლების სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან**(ყოველწლიურად) – *საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, სამინისტროები და უწყებები, მმართველობის ადგილობრივი ორგანიზაციები.*

**2.პროგრამის განხორციელების საქმეში სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული პროგრამების რეალიზაციისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენება** (სისტემატურად) – *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სამინისტროები და უწყებები, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.*

**3.წინადადების შემუშავება ფეხბურთის არასაბიუჯეტო დაფინანსების შეღავათიანი დაბეგვრის მიზნით**(2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**4.წინადადების შემუშავება გრანტების შესახებ კანონის მე-3 პუნქტში შესაძლო ცვლილებების შეტანის შესახებ, რათა გრანტის გამცემი ორგანიზაციების ჩამონათვალს დაემატოს სპორტული ინვენტარისა და ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმები** (2000 წლის III კვარტალი) – *საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

**5.წინადადებების მომზადება კანონში ცვლილებების შესატანად, რათა სპორტული ფორმა და ინვენტარი დაბეგროს წარმოების ძირითადი საშუალებების (ჩარხები, დანადგარები) ანალოგიურად** (2000 წლის II კვარტალი) – *საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.*

---

[*] ამ შრიფტით აღნიშნულია ღონისძიების დასახელება;

[**] ფრჩხილებში აღნიშნულია შესრულების ვადები;

[***] ამ შრიფტით აღნიშნულია პასუხისმგებელი შესრულებაზე.

---

**ყველას, ვინც გაეცნობა წარმოდგენილ პროექტს, ვთხოვთ ამ თვის ბოლომდე სფფ-ში წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები.**

---

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საფეხბურთო კლუბებს, სკოლებს და გუნდებს სთავაზობს ორგანიზაციულ და პრაქტიკულ დახმარებას გუნდების სპორტული ფორმით ეკიპირებაში. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში (ი. ჭავჭავაძის 49, II სართული) ყოველდღე 10-დან 17 საათამდე. შაბათ-კვირის გარდა.**

---

*(მესამე გვერდიდან)*

## იქცევა თუ არა სასჯელი გაკვეთილად?

გადაიხდის. ერთი თამაშით დისკვალიფიცირებულია ზოოვეტის სტადიონი, რადგან იქ კალენდარული მატჩისას არ იყო პოლიცია და სახანძრო მანქანა.

ახლა ინდივიდუალურ სასჯელებზეც ვიტყვით. მიზეზი მრავალფეროვანია, მსაჯისადმი უხეშობა, ბილწსიტყვაობა, დებოში... სამწუხაროდ, ასეა დღეს ბავშვთა ფეხბურთში, ანუ იგივე ხდება, რაც მოზრდილებში. ჩოხელის თასზე მოთამაშე ვიტ ჯორჯიელი ნოზაძე 2 მატჩს გამოტოვებს და 100 ლარ ჯარიმას გადაიხდის. ასევე ორ შეხვედრაში არ ითამაშებენ კარიაული („მერანი“), სუხიაშვილი („სამგურალი“), მუშკუდიანი („რწმენა“), ლევან მელიქია („ამირანი“), ჩახვაძე („მრეტები“). თითო თამაშით დაისაჯნენ დავით თალაკვაძე („თორი“), პაატა შეყილაძე („მაღაროელი“), სამი მატჩით – გაგრელი თირქია და ბათუმელი კობიძე („დინამო“). გაძევების გამო თითო შეხვედრას გამოტოვებენ – ველოდი ალანია („ხობი“), ვალტერ გუჩუა („დინამო“, თბ), ტარიელ ყურაშვილი („ფაზისი“), ერაძე (თსუ), დავით ზაზაშვილი (ხალიბი). ხაშურის ივერიის მწვრთნელი ნოზაძე გინებისთვის 200 ლარით დააჯარიმეს. გორდაძე („ამირანი“), სეზონის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული და ჯიბეს 300 ლარით შეიმსუბუქებს. მინდორზე ჩხუბისთვის 4-4 მატჩს ვერ ითამაშებენ რუსლან ვახანია („დინამო“, ზუგდ.) და ოსაძე (საუ), ზურა სიდამონიძე („მესხეთი“) 5 მატჩს გამოტოვებს.

ჩოხატაურის „ბახმარომ“ ავტობუსის გაუმართაობის გამო კალენდარულ შეხვედრაზე დააგვიანა და წაგება 0-3 ჩაეთვალა. მატჩის საპატიო მიზეზით ჩაშლისთვის სადისციპლინო კომიტეტმა კლუბი დაინდო და ჩემპიონატიდან არ მოხსნა.

მოკლედ, სასჯელები, იცოცხლეთ, ჩამორიგდა, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია, ყველა დარღვევა გაკვეთილად იქცეს და ქართული ფეხბურთის ყველა რგოლში წესრიგის განმტკიცებისათვის მიზანმიმართულმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღოს.

UEFA
EURO
2000
The Low Countries

## წარმოგიდგენთ ფინალისტებს

# ნორვეგია

ათიოდე წლის წინათ ნორვეგიელები ევროპულ ფეხბურთში მტკიცე... აუტსაიდერებად ითვლებოდნენ. ამის შემდეგ ნორვეგიული სპორტის მესვეურებმა, რომლებსაც მყარი ფინანსური ბაზისი აქვთ, მთელი ძალით მოჰკიდეს ხელი ფეხბურთს და შესანიშნავ პროგრესსაც მიაღწიეს. დიდი ყურადღება დაეთმო ბავშვთა ფეხბურთს, ინფრასტრუქტურას, აიგო არაერთი ჩინებული სტადიონი, დაწინაურდა ჩინებული ოსტატების ჯგუფი, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ევროპული საფეხბურთო „ბაზარი“ პირდაპირ გაივსო ნორვეგიელი ფეხბურთელებით, რაც 80-იან წლებში პირდაპირ წარმოუდგენელი რამ იქნებოდა.

ნორვეგიის ნაკრებმა ზედიზედ ორჯერ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ხოლო წლეულს პირველად ითამაშებს ევროპის პირველობის ფინალურ ნაწილში, სადაც თამაშის უფლება სრულიად დამაჯერებლად მოიპოვა.

გადავხედოთ ამ შესარჩევი თამაშების შედეგებს. მართალია ნორვეგიელებმა წააგეს პირველივე მატჩი, თანაც საკუთარ მინდორზე ლატვიელებთან – 1-3 (მასპინძელთაგან ეს ერთი გოლი სულბაკენმა გაიტანა), მაგრამ ეს ხომ ერთადერთი უსიამოვნო ეპიზოდი აღმოჩნდა. ყველა მომდევნო შეხვედრა სკანდინაველებმა აღმავლობით წარმართეს: სტუმრად დაამარცხეს სლოვენიელები – 2-1 (ტორე-ანდრე ფლო, რეკდალი), ოდნავ, კვლავ შინ, შეფერხდნენ ალბანელებთან – 2-2 (რეკდალი პენალტით, ბერგი), შემდეგ კი ზედიზედ შვიდი გამარჯვება იზეიმეს: ბერძნებთან სტუმრად 2-0 (სოლსკიაერი-2) თბილისში – 4-1 (ივერსენი, ფლო, სოლსკიაერი), საქართველოს ნაკრებთან ოსლოში 1-0 (ივერსენი), ტირანაში ალბანელებთან 2-1 (ივერსენი, ფლო), შინ ბერძნებთან 1-0 (ლეონარდსენი), შინ სლოვენიელებთან 4-0 (ივერსენი, სოლსკიაერი, ლეონარდსენი, ავტოგოლი) და რიგაში რევანში აიღეს ლატვიელებთან 2-1 (სოლსკიაერი, ფლო).

ნორვეგიის ნაკრებს წვრთნის ნილს იოჰან სემბი (დაიბ. 1959 წ. 24 თებერვალს), თამაშობდა „ჰორტენში“ (1976-85), ადრე წვრთნიდა კლუბ „ტენსბერგს“. 1988-91 წლებში ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, 1992-98 წლებში ოლიმპიური და ახალგაზრდული ნაკრებების მთავარი მწვრთნელი. 1998 წლის 1 აგვისტოს დაინიშნა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად.

რა თქმა უნდა, ნილს იოჰან სემბს, ისევე, როგორც ნებისმიერი ევროპული ნაკრების ხელმძღვანელს, თავისი პრობლემები აქვს. აქედან მთავარია მეკარის გადაუწყვეტელი საკითხი. მას შემდეგ, რაც ნაკრებს გამოეთხოვა ნორვეგიის ისტორიაში უდავოდ უძლიერესი ერიკ ტორსტვედი, ვერ იქნა და ვერ გაირკვა, ვინ არის ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის №1 გოლკიპერი. აქ ყოველთვის იყო რამდენიმე პრეტენდენტი. დიდხანს მეტოქეობდნენ ტომას გილი და ფრუდე გრუდოსი. დღეს ისინი უკვე აღარ არიან „ავანსცენაზე“. შესარჩევ მატჩებში უპირატესობას ანიჭებდნენ თომას მიურეს (1973. 16.10.192 სმ, 90 კგ. ინგლისის „ბირმინგემ სიტი“, 7 მატჩი), რომელიც ავიწროებდა ფრუდე ულსენს (1967. 12.10. 188 სმ. 86 კგ. ესპანური „სევილია“, 11 მატჩი). საქმე ამით არ დამთავრებულა. მიურე დაშავდა, ამასთან, კონფლიქტი მოუვიდა ლივერპულის „ევერტონის“ მწვრთნელთან, სადაც მაშინ თამაშობდა და დუბლიორთა გუნდში გადაიყვანეს. შემდეგ მიურე იჯარით მისცეს „ბირმინგემს“, ამჟამად სათამაშო პრაქტიკა ნამდვილად აკლია. ბოლო ამხანაგურ მატჩებში კარს იცავდა გამოცდილი ულსენი. თუმცა მისმა „სევილიამ“ ესპანეთის „პრემიერადივიზიონი“ დატოვა, მაგრამ ნორვეგიელ მეკარეს ამაში ბრალს ვერავინ დასდებს. მართალია, ულსენს არა აქვს მიურეს რეაქცია და ნახტომი, მაგრამ იგი უფრო მშვიდია და კარიდან წინდაუხედავად არასოდეს გამოდის. ამასთან, ემოციურ მიურეს, რა თქმა უნდა, ვნებს მისი მდგომარეობის გაურკვევლობა, „ბირმინგემში“ იჯარის ვადა რომ გაუთავდება, არავინ იცის, სად ითამაშებს. უკვე ცნობილია, ვინ იქნება ნაკრების მესამე მეკარე. ეს არის პერ ესპენ ბორდსენი (1977. 7.12. 197 სმ. 94 კგ. ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპური“, 1 მატჩი). იგი მზიურ კალიფორნიაში დაიბადა, აქვს ორმაგი – აშშ-სა და ნორვეგიული მოქალაქეობა. ლონდონის კლუბში სათადარიგო მეკარეა. უკვე ერთი წელია, რაც ნორვეგიის ნაკრების ხელმძღვანელობამ სათანადო ყურადღება მიაქცია.

ტორე ანდრო ფლო

ნორვეგიული ფეხბურთი ყოველთვის ბრიტანულის დიდი გავლენით ვითარდებოდა, იქვე თამაშობს წამყვანი ნორვეგიელი ოსტატების დიდი ნაწილი. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ ნორვეგიელების დაცვა „ხაზზე“ მოქმედებს. მაშინ, როცა დაცვის ცენტრში თამაშობდნენ ჰენინგ ბერგი (1969. 1.9. 184 სმ. 75 კგ, „მანჩესტერ იუნაიტედი“, 69 მატჩი, 8 გოლი) და რონი იონსონი (1969. 10.6. 190 სმ. 85 კგ, „მანჩესტერ იუნაიტედი“, 41 მატჩი, 2 გოლი). მისი დაძლევა თითქმის შეუძლებელი იყო. შემდეგ მოხდა ისე, რომ ორივე ცენტრალური მცველი დაშავდა და ნაკრებს სერიოზული პრობლემები შეექმნა. ამ მძიმე დღეებმა გაიარა – ახლა ბერგი მწყობრში ჩადგა, იონსონი კი, საცაა უნდა გამოჯანმრთელდეს. ჯერჯერობით კი იონსონს დაცვის ცენტრში ცვლის ხეტილ რეკდალი (1968. 6.11. 187 სმ, 82 კგ, „ვოლერენგა“, 81 მატჩი, 17 გოლი). ეს არის უნივერსალური მოთამაშე, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლია გამოვიდეს როგორც დაცვაში, ისე შუა ხაზზე. რეკდალი დასაფასებელია იმითაც, რომ, თუმცა ნორვეგიელები თამაშობენ „ხაზზე“, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია ლიბეროს როლის შესრულებაც. შარშან რეკდალმა ბუნდესლიგის კლუბ „ჰერტაში“ (ბერლინი) ტრავმა მიიღო და ადგილი დაკარგა ძირითად შემადგენლობაში. იმისათვის, რათა სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა, დაარღვია კონტრაქტი, სამშობლოში დაბრუნდა და ახლა, შესაძლოა დროებით, ევროპის პირველობის დამთავრებამდე, „ვოლერენგაში“ გამოდის. განაპირა მცველებად სხვებზე უფრო ხშირად გამოდიან ვეგარდ ჰეგემი (1975. 13.7. 179 სმ. 76 კგ. ინგლისური „ლივერპული“, 16 მატჩი, 1 გოლი) და ერიკ ჰოპტუნი (1969, 3.3. 186 სმ. 85 კგ. „რუსენბორგი“, 21 მატჩი), თუმცა მათ სათანადო სისწრაფე არა აქვთ, თავით კი მშვენივრად თამაშობენ. რა თქმა უნდა, შესაძლებელია სხვა მცველების გამოყენებაც.

შუა ხაზზე, ექსპერტების აზრით, დღეისათვის ძირითადი ოთხეული ასეთია: სტოლე სოლბაკენი (1968. 27.2 189 სმ. 88 კგ. დანიის „ოლბერგი“, 55 მატჩი, 9 გოლი), ბენტ ანდრე სკამელსრუდი (1966. 18.5. 178 სმ. 76 კგ. „რუსენბორგი“, 34 მატჩი, 5 გოლი). ერიკ მიუკლანდი (1971. 21.7. 172 სმ. 63 კგ. ათენის „პანათინაიკოსი“, 69 მატჩი, 2 გოლი) და ეივინდ ლეონარდსენი (1970. 17.8. 177 სმ. 73 კგ. ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“, 66 მატჩი, 16 გოლი). ამ ნახევარმცველებს სერიოზული ღირსებებიც აქვთ და, თუ გნებავთ, ასეთივე ნაკლიც. ისინი ძალიან კარგი ხედვით გამოირჩევიან, ასეთივე კარგი ტექნიკით და ზუსტი შორეული გადაცემებით. მთავარი ნაკლია არასაკმარისი სისწრაფე, სათამაშო დოგმების ზუსტად შესრულების ცდა, და, ამდენად, ნაკლები ინიციატივა. ის, რასაც იმპროვიზაცია ჰქვია, შეიძლება მეტანკლებად მხოლოდ მიუკლანდს თუ აქვს. დანარჩენ სამეულს კარგ შემსრულებლად თუ თვლიან და იმასაც ამბობენ, რომ „რეჟისურა მათი საქმე არ არის“. საჯარიმოებს და კუთხურებს ყველა ნახევარმცველი ჩინებულად ურტყამს. ბენტ სკამელსრუდის მარცხენა ფეხზე საერთოდ ლეგენდები შეიქმნა – გადაცემების 90 პროცენტი ადრესატებთან მიდის. ასეთი რამ მსოფლიო ფეხბურთში მხოლოდ ბექჰემსა და ვერონს თუ ახასიათებთ. უახლოეს რეზერვში არიან დანიელ ბერგ ჰესტადი („მიოლდე“), პეტერ რუდი (ინგლისური „შეფილდ უინსდეი“), იონ არნე რიისე (ფრანგული „მონაკო“), ვიდარ რისეტი (გლაზგოს „სელტიკი“), ეირიკ ბაკე (ინგლისური „ლიდს იუნაიტედი“). როარ სტრანდი („რუსენბორგი“). მათგან ძირითად შემადგენლობაში გამოსვლის პრეტენზია უფრო ბაკესა და რიისეს აქვთ. ისინი სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, როცა ნორვეგიიდან წავიდნენ, მალე მოიპოვეს მყარი ადგილები თავიანთი კლუბების ძირითად შემადგენლობებში და ახლა ამასვე ცდილობენ ნაკრებში. ორივე მეტად გამძლეა, შრომისუნარიანი, აქტიურად მონაწილეობენ კომბინაციურ, გუნდურ თამაშში. ამასთან, რიისეს პირდაპირ კუმანისებური, უძლიერესი დარტყმა აქვს და ამდენად, როგორი იქნება ნაკრების ნახევარდაცვის ძირითადი ოთხეული ევროპის პირველობაზე, ეს სადისკუსიო საკითხად იქცა.

ულე-გუნარ სოლსკიაიერი
(მუქ მაისურში)

ნორვეგიელებს, შეიძლება ითქვას, შესანიშნავი თავდამსხმელები ჰყავთ, ეს რგოლი ნამდვილად უძლიერესია ნაკრებში. ორი ფორვარდი ტორე-ანდრე ფლო (1973. 15.6. 196 სმ. 85 კგ. ლონდონის „ჩელსი“, 45 მატჩი, 21 გოლი) და ულე-გუნარ სოლსკიაერი (1973. 26.2 178 სმ. 81 კგ. „მანჩესტერ იუნაიტედი“, 28 მატჩი, 13 გოლი) ფართოდ ცნობილია ფეხბურთის სამყაროში. ისინი ევროპაში საუკეთესოებს მიეკუთვნებიან. ამ დუეტს ყველაფერი აქვს, რაც კი თანამედროვე თავდამსხმელს მოეთხოვება: სისწრაფე (თუმცა ამ თვისებით, საერთოდ, ნორვეგიელები არ გამოირჩევიან), ტექნიკა, საგოლე ალღო, ზუსტი დარტყმა. შემთხვევითი არ არის, რომ ორივე ნორვეგიელი საუკეთესო ინგლისურ კლუბში თამაშობს, ორივე ძალიან სწრაფად ერთვება თამაშში, არა სჭირდება დიდი „მოთელვა“, ამიტომაც ხდება, რომ მათ დასაწყისშივე გააქვთ გოლები, ამასვე აკეთებენ, როცა შეცვლაზე შედიან. ფლო, უპირველეს ყოვლისა, დიდი სისწრაფით გამოირჩევა, სოლსკიაერი კი – გოლის გრძნობით. ნორვეგიელებს კიდევ ჰყავთ ერთი მაღალი კლასის ფორვარდი: სტეფან ივერსენი (1976. 10.11. 185 სმ. 75 კგ. ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“, 26 მატჩი, 5 გოლი. მას ძლიერი დარტყმა აქვს, ჩინებულად ირჩევს პოზიციას), „რუსენბორგის“ შავკანიანი თავდამსხმელი ჯონ ალიუ კერიუ (1979, 5.9. 193 სმ. 88 კგ. 10 მატჩი ნაკრებში, 2 გოლი) თავისებური ეგზოტიკური ფიგურაა ნორვეგიულ ფეხბურთში. როცა სათანადო გამოცდილებას მიიღებს და მეტ გონიერებასაც შეიძენს, ეს იქნება პირდაპირ მრისხანე ფორვარდი. კერიუს ბევრი გოლი გააქვს, კიდევ მეტ საგოლე მომენტს ვერ იყენებს, შეუძლია საოცრად იოლი პოზიციიდანაც კი ვერ მიაღწიოს მიზანს. ამასთან, ერთგვარი სათამაშო ეგოიზმიც ახასიათებს, შეუძლია ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი პარტნიორი „ვერ შეამჩნიოს“. ნაკრებში თამაშის პრეტენზია აქვს აგრეთვე ანდრეას ლუნდს (1975. 7.5. 189 სმ. 82 კგ. ლონდონის „უიმბლდონი“, 8 მატჩი ნაკრებში, 4 გოლი).

**ბივი ბამრეკელი**

---

### საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

# სტივ მაკმანამანი – „ბრიტანეთის გვირგვინის ბრილიანტი“

სტივენ (სტივ) მაკმანამანი ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენელია. ევროპის მომავალ პირველობაზე ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობას მისი დიდი იმედი აქვს. დაიბადა 1972 წლის 11 თებერვალს ლივერპულის გარეუბან ბუტლში ირლანდიური წარმოშობის ოჯახში. განაპირა ნახევარმცველია, 183 სმ, 70 კგ.

დაამთავრა „კამპიონ ჰეის“ საფეხბურთო სკოლა, სადაც სხვადასხვა დროს „ლივერპულისა“ და „ევერტონის“ ბევრი გამოჩენილი მოთამაშე მეცადინეობდა. ბავშვობაში სერიოზულად ვარჯიშობდა მძლეოსნობაში (მრავალჭიდში), გახდა ლივერპულის ჩემპიონი ბიჭებს შორის. მისი საყვარელი ფერია წითელი („ლივერპულის“ ფერი) და მწვანე (ირლანდიის ნაკრების ფერი ხომ მწვანეა), საყვარელი კლუბები: „ევერტონი“ (ბავშვობაში). ლივერპული და მადრიდის „რეალი“. საყვარელი ქალაქები – ლივერპული და მადრიდი, საყვარელი სასმელი – შავი ლუდი, საყვარელი მუსიკალური ჯგუფი – „ბითლზი“.

1989-99 წლებში თამაშობდა „ლივერპულში“ (297 მატჩი, 54 გოლი). 1999 წლის ზაფხულში გადავიდა მადრიდის „რეალში“. ინგლისის ნაკრებში ითამაშა 26 მატჩი, 1992 წელს დაეუფლა ინგლისის თასს, 1995 წელს კი ინგლისის ლიგის თასს.



სტივ მაკმანამანს ბურთის ფლობის დიდებული ტექნიკა აქვს, იგი მაღალია და სწრაფი, ამტანი, შესანიშნავად ერკვევა მინდორზე შექმნილ სიტუაციაში, შეუძლია საგოლე გადაცემა, თვითონაც ემარჯვება გოლის გატანა. „რეალის“ ხელმძღვანელობის აზრით, ასეთი დიდებული ფეხბურთელი კარგა ხანია კლუბს არ ჰყოლია.

ესპანელმა ჟურნალისტებმა მაკმანამანს რამდენიმე კითხვით მიმართეს.

● ***სტივ, დიდ ხანს თქვენი სახელი და „ლივერპული“ თითქმის სინონიმები იყო. ამასთან, ცნობილია, რომ ბავშვობაში სხვა კლუბის გულშემატკივარი იყავით.***

– მართალი ბრძანდებით. 18 წლამდე „ლივერპულის“ ხსენებაც კი მაღიზიანებდა, რადგან ჩვენი ქალაქის მეორე კლუბ „ევერტონის“ ქომაგი ვიყავი. ჩემი სკოლა სწორედ „ენფილდ როუდისა“ და „გუდისონ პარკის“ სტადიონებს შორის შუაგულ მანძილზე იყო. ბევრმა გამოჩენილმა მოთამაშემ სწორედ ეს სკოლა დაამთავრა. მოსწავლეების ნაწილი, დაახლოებით ნახევარი „ევერტონს“ ქომაგობდა, ან „ლივერპულს“. ხშირად ვკამათობდით, რაც ზოგჯერ ჩხუბშიც გადაიზრდებოდა ხოლმე. მზად ვიყავი ყველაფერი „ევერტონისათვის“ შემეწირა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ შემდეგ მთელ 10 წელიწადს „ლივერპულში“ გავატარებდი.

● ***მაშ რაღა მოხდა? რანაირად აღმოჩნდით „ევერტონის“ „მოსისხლე მტრების“ რიგებში?***

– როცა კლუბის ამორჩევის დრო დადგა, მამაჩემმა (ასევე „ევერტონის“ გულშემატკივარმა) ამის მიუხედავად მაინც მოითხოვა, რომ უპირატესობა „ლივერპულისთვის“ მიმენიჭებინა. მეც, 18 წლისა, გამოვცხადდი „ენფილდ როუდზე“ და ჩემს პირველ პროფესიულ კონტრაქტს მოვაწერე ხელი. საინტერესოა, რომ რობი ფაულერი და მაიკლ ოუენი, „ლივერპულის“ წამყვანი მოთამაშეები, ბავშვობაში „ევერტონის“ გულშემატკივრები იყვნენ.

● ***და ხომ არ ნანობთ, ასეთი არჩევანი გამო?***

– სულაც არა. ასაკის მომატებასთან ერთად მოვლენებს კაცი სხვანაირად უყურებს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სპორტული ბედი სწორედ „ლივერპულს“ დავუკავშირე.

● ***და ამის მიუხედავად მაინც დატოვეთ იგი.***

– ძალიან მინდოდა ინგლისის საზღვრებს გარეთ თამაში. და აი ასეთი საშუალებაც მომეცა. ბევრი ფიქრობს, რომ პირინეები ფულის გულისთვის ავირჩიე. ყველამ, ვინც კარგად მიცნობს, იცის, რომ ეს ასე არ არის. ფული ჩემთვის ცხოვრებაში მთავარი როდია. „ლივერპულში“ მშვენიერი 10 წელი გავატარე. ამ გუნდმა ყველაფერი მომცა, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ. გადაწყვეტილება „ლივერპულის“ დატოვების შესახებ იოლად კი არ მიმიღია, ეს იყო ყველაზე ძნელი მომენტი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. ამასთან, ძალიან მინდოდა ძალები საზღვარგარეთ მეცადა. 28 წლის კაცი ვარ, გაივლის რამდენიმე სეზონიც და უკვე აღარავის დავჭირდები. რა ვიცი, შეიძლება დავშავდე კიდეც და თამაშის გაგრძელება ვეღარ შევძლო. „რეალში“ თამაში ჩემი პროფესიული საფეხბურთო კარიერის მწვერვალი უნდა გამოდგეს.

● ***რატომ მაინცდამაინც „რეალი“? თქვენ ხომ სხვა ცნობილი კლუბებიც გიწვევდნენ.***

– „რეალის“ არჩევა შემთხვევითი არა ყოფილა. ეს ჩემი საყვარელი საზღვარგარეთული კლუბია. „რეალის“ ფეხბურთელობა პროფესიონალი მოთამაშის მიზანია, ის მაქსიმუმი, საითკენაც უნდა მიისწრაფოდე. არც ისე დიდი ხნის წინათ „რეალი“ ჩემპიონთა თასს ფლობდა. დარწმუნებული ვარ, უახლოეს ხანებში მადრიდული კლუბი კვლავ გაიბრწყინებს საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ფანტასტიკური გუნდია. ჩემი თამაშის მანერა სწორედ შეესატყვისება „რეალის“ სტილს.

● ***არასოდეს გიფიქრიათ, რომ თქვენთვის უჩვეულო პოზიციაზე მოგიხდებოდათ თამაში?***

– ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რა პოზიციაზე ვთამაშობ. დიახ, ამას აბსოლუტურად არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. სადაც საჭირო იქნება, იქ ვითამაშებ. „ლივერპულში“ მარჯვენა ნახევარმცველადაც გამოვდიოდი, ცენტრშიც, მარცხნივაც. ისე კი, თამაში დავიწყე როგორც თავდამსხმელმა.

● ***„ლივერპულში“ მეშვიდე ნომრით თამაშობდით. „რეალში“ ეს ნომერი რაულს ეკუთვნის. ხომ არ ყოფილა ამის გამო რაიმე დავა?***

– ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ნომრით ვითამაშებ. რაული პირდაპირ აღმერთებს ამ რიცხვს. არავითარი სურვილი არ მქონდა შევდავებოდი.

**ლორენსო სანსი** („რეალის“ პრეზიდენტი) სტივ მაკმანამანის შესახებ:

– სტივი „პირველი შტრიხი“ გახლავთ ახალი „რეალის“ პორტრეტზე. იგი უნიჭიერესი ფეხბურთელია და უახლოესი 5 წლის მანძილზე ბრიტანული გვირგვინის ეს ბრილიანტი ჩვენი კლუბის საკუთრება იქნება.

**ჯონ ტოშაკი** („რეალის“ ყოფილი მწვრთნელი): ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაა, შემართული გასამარჯვებლად. ამიტომაც აღმოჩნდა იგი „რეალში“. ყველა, ვინც მადრიდის „რეალში“ ტრიუმფს აღწევს, ფეხბურთის ღმერთებად იქცევა ხოლმე. მაკმანამანსაც შეუძლია ფეხბურთის ღმერთი გახდეს.

მოამზადა **ბივი თორელმა**

# არ ვიცოდი, რომ შავი ვარ

**უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც ნიგერიის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ვიქტორ იკპება ევროპულ ფეხბურთს ეზიარა. ამ ინტერვიუში ის ლაპარაკობს თავის წარსულსა და მომავალზე, აფრიკელი ფეხბურთელების ადაპტირებაზე ევროპაში, რასიზმზე... თუმცა, ჯერ ნიგერიის აფრიკის ეროვნებათა თასის წლევანდელ გათამაშებაში ეროვნული ნაკრების გამოსვლაზე ილაპარაკა.**

● ***მოახერხეთ გადაგელახათ ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალში კამერუნთან წინააღმდეგ მატჩის დამარცხებით დაიწყო?***

— დიახ, მთლიანობაში ტურნირი ამაღლებულ განწყობით ჩავატარეთ, მაგრამ მარცხი სამწუხარო იყო. მატჩის შემდგომი პენალტების სერიაში მსაჯმა ჩემს მიერ გატანილი გოლი არ ჩათვალა — ეს ისეთი რამაა, რომელთან ერთად უნდა იცხოვრო და შეეგუო. რა თქმა უნდა, ყოველთვის ვერ მოიგებ, მაგრამ ამ კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემის მიზეზი მსაჯის მიერ არჩათვლილი გოლია. თუმცა, შეცდომები მოთამაშეებსაც მოგვდის. საერთო ჯამში დიდად ვისიამოვნე აფრიკის თასის ამ გათამაშებით, რომელიც ერთდროულად განაში და ნიგერიაში ჩატარდა. ეს ჩემთვის იყო შანსი ჩემი ოჯახი მომენახულებინა. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ მთელი სამი კვირა ვიყავი შინ.

● ***როგორ შეიძლება ასეთი პრობლემები თავიდან ავიცილოთ მომავალში?***

— სპეციალური ვიდეოკამერის საშუალებით, რომელიც კართან იქნება დამონტაჟებული და გარკვევით დაადგენს გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. მე აგრეთვე მომხრე ვარ, რომ მატჩებს პროფესიონალი მსაჯები მოემსახურონ.

● ***თვლით, რომ ნიგერია ახლა აფრიკის ჩემპიონი იქნებოდა კარის ვიდეოკამერის არსებობის შემთხვევაში?***

— იცით რა იყო სასაცილო? მსაჯის ასისტენტი და თვით მსაჯიც იქვე იყვნენ და არ შეეძლოთ ეთქვათ, რომ მათ ვერ დაინახეს, რაც მოხდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ძალიან სწრაფად მოხდა — ბურთი ზედა ძელიდან კარის ხაზს იქით დაეშვა და მინდორმა ის მერე გარეთ აისხლიტა. ჩვენმა მეკარემ იკე შორუნმუმ მყისვე თქვა გოლი გავიდაო, მაგრამ მსაჯმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. იმ საღამოს ლაგოსი მკვდარ ქალაქად გადაიქცა. ისე კი, ჩვენ შეგვწევს უნარი მსოფლიოს საუკეთესო გუნდიც დავამარცხოთ, მაგრამ წინ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს.

● ***იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნიგერიის ნაკრების პრობლემები მისივე მენტალიტეტშია. 1994 წლის მუნდიალის 1/4 ფინალში თქვენ 1-0 იგებდით და საბოლოოდ 1-2-ზე დამარცხდით. საფრანგეთი-98-ზე ჯგუფური მატჩები კარგად ჩაატარეთ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე უსუსურად იასპარეზეთ დანიის წინააღმდეგ.***

— ამგვარი აღმასვლა და დაღმასვლა აფრიკის ეროვნებათა თასის წლევანდელ გათამაშებაშიც გვახასიათებდა. ტუნისის წინააღმდეგ ბრწყინვალედ ვითამაშეთ, ტოგოსთან არც თუ ისე კარგად. ამის მერე კვლავ შთამბეჭდავად გამოვიყურებოდით მაროკოსთან, მაგრამ უფერულად სენეგალთა მატჩში. შემდეგ ვიძალეთ სამხრეთ აფრიკასთან, ფინალში კი შედარებით სუსტად ვითამაშეთ კამერუნის წინააღმდეგ. ნიგერიელები ძალიან ვერთობით და დიდ სიამოვნებას ვიღებთ ფეხბურთის თამაშისგან — რაღაც-რაღაცეებს თქვენ ძალიან ხშირად ვერ ამჩნევთ. მაგრამ სიამოვნებას ანიჭებს გულშემატკივრებს. ჩვენ ხშირად გვაკრიტიკებენ, რომ ტაქტიკურად საკმარისად ძლიერები არა ვართ, მაგრამ ვფიქრობ, რომ რეალურად ეს ასე არ არის. გართობა და ხალისი ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა რომ მოვიგოთ, მაგრამ აგრეთვე მოვაწყოთ სანახაობაც.

● ***რა უნდა გააკეთოს ნიგერიამ, რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდეს?***

— ჩვენ ფეხბურთელთა ახალი თაობა გვესაჭიროება. ამ მომენტისთვის გუნდის ბირთვს ის მოთამაშეები ქმნიან, რომლებიც წლების მანძილზე თამაშობენ ნაკრებში. აი, ამაშია პრობლემა. ახალგაზრდები არ ჩანან.

● ***კარგა ხანია, რაც ეროვნული ნაკრების რეგულარული წევრი ხართ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთები თვლიან, რომ თქვენ პრობლემის ნაწილს წარმოადგენთ...***

— ისინი ამას კი ამბობენ ჩემზე, მაგრამ სინამდვილეში არანაირ პრობლემას არ ვქმნი. „მონაკოში" ოთხი წელი ვმუშაობდი ჟან ტიგანასთან და ეს ოთხი წელი ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. ჰკითხეთ ფრანგ ჟურნალისტებს და ისინი გეტყვიან, რომ ტიგანა რთული პიროვნებაა. მე არასდროს მქონია პრობლემები მის წინამორბედ არსენ ვენგერთან, „არც „ლიეჟის" მწვრთნელ რობერტ ვასეჟთან. ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ და თუ ჟურნალისტები რაღაცას შემეკითხებიან, ყოველთვის ვუპასუხებ, რომ კმაყოფილი არა ვარ. ის კაცი არ გახლავართ, რომელიც მწვრთნელის ზურგს უკან ლაპარაკობს. მე „ბორუსიის" ყოფილ თავკაცს მიხაელ სკიბესაც ვაკრიტიკებდი. მან არ მომცა საკმარისი დრო ჩემი ტალანტის წარმოსაჩენად. „მონაკოში" კი ამისათვის მომცეს დრო.

● ***თქვენ 16 წლის იყავით, როცა ევროპაში ჩამოხვედით. როგორ მოახერხეთ დაწინაურება, მაშინ, როცა სხვა კონტინენტებიდან ჩამოსული ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ხელმოცარული რჩება?***

— გამიმართლა. ისეთ გუნდში მოვხვდი, სადაც არ იგრძნობოდა დიდი ზეწოლა. დიდი მოტივაცია მქონდა გამეკეთებინა კარიერა. აგრეთვე, კარგი მწვრთნელი შემხვდა „ლიეჟში" — რობერტ ვასეჟი, რომელიც ახლა ბელგიის ეროვნულ გუნდში მუშაობს. კლუბთან პროფესიონალური კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ იძულებული ვიყავი მეთამაშა კლუბის მეორე ან ახალგაზრდულ გუნდში, რათა იქაურობას კარგად შევგუებოდი.

სასტუმროში კი არ მიცხოვრია, არამედ ოჯახში და თავი მარტოს არ მიგრძვნია. ეს ჩემთვის საუკეთესო რამ იყო.

● ***ბევრი აფრიკელი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჩადის იტალიაში, სადაც ოქროს მთებს ჰპირდებიან, მაგრამ უმეტესობა ქუჩაში ამოჰყოფს ხოლმე თავს.***

— რაც იტალიაში ხდება, სკანდალია. ახალგაზრდა აფრიკელ ფეხბურთელებს არ ვურჩევდი იტალიაში წასვლას, თუ მაინცდამაინც იტალია უნდათ, მაშინ პატარა კლუბებს უნდა მიაშურონ, რადგან დიდ კლუბებში მათ არანაირი შანსი არა აქვთ. ახალგაზრდა აფრიკელებისათვის უკეთესი იქნება თუ ისეთ ქვეყნებში წავლენ, როგორიცაა პორტუგალია, ბელგია, შვეიცარია ან საფრანგეთი. რა თქმა უნდა, ყველას მიზანი ევროპაა, მაგრამ, როგორც კი ევროპაში ჩახვალ, ფულზე კი არ უნდა იფიქრო, არამედ მხოლოდ თამაშზე. ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდება. ჩემი ძმა, რომელიც ჩემთან მოვახვედრე „ლიეჟში", ფიქრობდა, რომ ყველაფერი სწრაფად მოხდებოდა და გამდიდრდებოდა. მაგრამ მან ეს ვერ შეძლო და უკან, ნიგერიაში დაბრუნდა.

● ***რას გააკეთებდით, პროფესიონალი ფეხბურთელი რომ ვერ გამხდარიყავით?***

— პოლიტექნიკურ სკოლაში დავდიოდი, თუმცა, ყოველთვის მინდოდა ბანკში მემუშავა. ეს ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. ოთხი წლის ვიყავი, როცა მამა დავკარგე — ის ჩვენს სამზარეულოში გაზქურის აფეთქებამ იმსხვერპლა. ჰოდა, ვიზრდებოდი ბებიასთან, მერე ბიძასთან, რომელსაც კატეგორიულად არ უნდოდა ფეხბურთელი გავმხდარიყავი, რადგან ამით ფულის შოვნა შეუძლებელი იყო. მაშინდელი გადასახედიდან ის მართალი იყო. მაგრამ, როცა 16 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატში ვითამაშე შოტლანდიაში, დავინახე თუ რა შანსები მქონდა.

● ***მსოფლიო ჩემპიონატი არასდროს ჩატარებულა აფრიკაში. ახლა მისი ორი წარმომადგენელი — სამხრეთ აფრიკა და მაროკო აცხადებენ პრეტენზიას 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობაზე. რა უპირატესობა აქვს ამ საკითხში აფრიკას?***

— რატომ არ უნდა ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატი სხვა კონტინენტზეც? აფრიკა ამისთვის მზად არის. მსოფლიო ჩემპიონატის აფრიკაში ჩატარება ფეხბურთს უზარმაზარ აღზევებას მოუტანს. სამწუხაროა, რომ აფრიკის ორი ქვეყანა ითხოვს ამას. უკეთესი იქნებოდა, ჩვენს კონტინენტს მხოლოდ ერთი კანდიდატი ჰყავდეს.

● ***კვლავ ითამაშებთ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე?***

— არასდროს ვფიქრობ მსგავს რამეზე. უბრალოდ, მსურს ვისიამოვნო ფეხბურთით. აქამდე კარგი კარიერა მქონდა და შემდგომი 4-5 წლის მანძილზეც კარგი უნდა იყოს.

● ***თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მწვრთნელი გახდეთ?***

— არა, ამ მომენტისთვის ნამდვილად არა. აგრეთვე ვფიქრობ, რომ შავ მწვრთნელებს ევროპაში მძიმე დრო უდგათ.

● ***ტიგანა, რა, განა შავი არ არის?***

— დიახ. შავი მწვრთნელი — საფრანგეთში ეს შესაძლებელია, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ სხვა ქვეყნებშიც...

● ***თვლით, რომ ევროპა რასისტულია?***

— ეს დასამალი არ არის! სიმართლეა, რომ რასიზმს ფართოდ აქვს ფრთები გაშლილი. ალბათ პატარა დოზით, მაგრამ რასიზმი ფეხბურთშიც არსებობს. ევროპაში არიან მწვრთნელები, რომლებსაც არ უყვართ შავი ფეხბურთელები და რომლებიც ნებას არ რთავენ მათ ითამაშონ. მეორეს მხრივ არიან ისეთებიც, რომლებიც კეთილგანწყობილნი არიან შავების მიმართ. მაგალითად, არსენ ვენგერი. ის ძალიან ბევრ შავ ფეხბურთელს დაეხმარა წინსვლაში. მაგრამ მთლიანობაში მაინც სხვა სიტუაციაა. ჰკითხეთ ამის შესახებ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან ჟორჟ ვეა და ჟულიო სეზარი და ისინიც იგივეს გიპასუხებენ. მათთვის ბევრი რამ აკრძალული იყო, იმიტომ რომ შავები არიან.

"FIFA MAGAZINE"-დან
თარგმნა
**ᲓᲐᲗᲝ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔᲛ**

### ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲘᲙᲞᲔᲑᲐ

***დაბადების თარიღი და ადგილი:*** 1973 წლის 12 ივნისი, ბენინ სიტი (ნიგერია)
***სიმაღლე:*** 174 სმ
***წონა:*** 69 კგ.
***კლუბები:***
1988-1989: ABC ლაგოსი (ნიგერია),
1989-1993: „ლიეჟი" (ბელგია)
1993-1999: „მონაკო" (საფრანგეთი).
1999 წლიდან: დორტმუნდის „ბორუსია" (გერმანია).
***მიღწევები:***
***1989 წელი:*** 16-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე
***1990:*** ბელგიის თასის მფლობელი
***1992:*** მესამე ადგილი აფრიკის ეროვნებათა თასზე
***1994:*** მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე აშშ-ში, აფრიკის ეროვნებათა თასის გამარჯვებული
***1996:*** ატლანტის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული
***1997:*** საფრანგეთის ჩემპიონი, აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელი
***1998:*** მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე საფრანგეთში
***2000:*** მეორე ადგილი აფრიკის ეროვნებათა თასზე.
ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 30 მატჩი.

---

## ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ

# ᲓᲐᲜ ᲞᲔᲢᲠᲔᲡᲙᲣ: ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲛᲓᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ

გეორგე ჰაჯის რუმინეთში პოპულარობით არაფრით ჩამორჩება დან პეტრესკუ.

დანიელ (დან) ვასილე პეტრესკუ მარჯვენა მცველია, თუმცა ხშირად მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობს. დაიბადა 1967 წლის 22 დეკემბერს ბუქარესტში. 178 სმ სიმაღლისაა, 75 კგ-ს იწონის. თამაშობდა რუმინულ „ოლტსა" და „სტიაუაში", რომლის შემადგენლობაშიც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს დაეუფლა. შემდეგ გაემგზავრა იტალიაში, თამაშობდა „ფოჯასა" და „ჯენოვაში". ინგლისში გადასვლის შემდეგ გამოდიოდა „შეფილდ უენსდეიში", 1995 წლიდან კი გამოდის „ჩელსიში". ნაკრებში ჩაატარა 86 მატჩი და გაიტანა 11 გოლი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1990, 1994 და 1998 წლების ჩემპიონატებში, ევროპის 1996 წლის ჩემპიონატში. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის (1986), თასების მფლობელთა თასისა (1997) და ევროპის სუპერთასის (1998) მფლობელია. რუმინეთის ოთხგზის (1985, 1986, 1987, 1988) ჩემპიონი, რუმინეთის თასის სამგზის (1985, 1987, 1988) მფლობელი, ინგლისის თასის გათამაშების გამარჯვებული (1997).

დან პეტრესკუ პასუხობს ინგლისელი ჟურნალისტების შეკითხვებზე:

● ***დან, ეს თქვენი წინადადებით იყო, რუმინეთის მთელმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატში თმა ყვითლად რომ შეიღება?***

— მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრები დავამარცხეთ, ყველას მეტისმეტი სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა, იმიტომ, რომ რუმინელები ვართ. საქმე ის არის, რომ ინგლისელებთან დამარცხებას გვიწინასწარმეტყველებდნენ, ჩვენ არა მარტო გავუძელით მათ შეტევებს, გავიმარჯვეთ კიდეც. ჩვენთან რუმინეთში ეს ამბავი სტიქიურ ზეიმად იქცა — ბუქარესტის ქუჩებში უამრავი ადამიანი გამოვიდა. გვინდოდა რითიმე გაგვესვა ხაზი, რომ რუმინელები ვართ, მაგრამ როგორ? ერთხელ დილით, წვერს რომ ვიპარსავდი, ასეთი იდეა მომივიდა, რა მოხდებოდა, რომ თმა რუმინეთის დროშის ფერად შეგვეღება. ლოყებიდან ასაქაფებელი საპონიც კი არ მქონდა მოშორებული, ისე გავიქეცი ამხანაგებთან და გავუზიარე ჩემი იდეა. ყველამ დამიჭირა მხარი. მაგრამ თმის სამ ფერად — ცისფრად, ყვითლად და წითლად შეღებვა, ცოტა არ იყოს, ძნელი იყო და ამიტომ ყვითელი ფერი ავირჩიეთ.

● ***ყველა დაგეთანხმათ?***

— ყველა, მეკარე ბოგდან სტელიას გარდა. მაგრამ მას რა უნდა შეეღება, საერთოდ, არა აქვს თმა. დიდხანს ყოყმანობდნენ გეორგე ჰაჯი, ანტონ დობოში და გეორგე პოპესკუ, გვეუბნებოდნენ, რომ 30 წლის ადამიანებისათვის არ ღირდა ასეთი ბავშვობა და ამჩატება. მოგვიხდა თმის შეღებვა და მათი აყოლიება. როგორც კი დაგვინახეს შეღებილთმებიანები, მეტი რაღა გზა ჰქონდათ, თვითონაც მოითხოვეს საღებავი.

● ***როგორ მოიქცა მწვრთნელი, გენერალი ანგელ იორდანესკუ?***

— უარი თქვა თმის შეღებვაზე, არმიული წესდება მოიშველია. მაგრამ ერთი რამ გააკეთა — თმა გადაიპარსა და ქაჩალ სტელიას შეუერთდა. როგორც გახსოვთ ხორვატებთან მთელი მატჩი ქუდი ეხურა.

● ***გაიმეორებთ თუ არა ამ ილეთს ევროპის მომავალ პირველობაზე?***

— არ ვიცი. ჩემპიონატზე ღირსეულად უნდა გამოვიდეთ. ყურადღება კარგი თამაშით უნდა მივიპყროთ, და არა რაღაცა მეორეხარისხოვანით. გარდა ამისა, თმის შეღებვა ხომ რაღაც ახალი ამბავი არ იქნება. სხვა რამ უნდა მოვიფიქროთ.

● ***დავუბრუნდეთ მსოფლიო პირველობის ინგლის — რუმინეთის მატჩს. იგი საუკეთესო იყო მთელი თქვენი კარიერის თამაშებს შორის?***

— არ მაქვს არც ჩემი მატჩების, არც ჩემი გოლების „ჰიტ-პარადის" აღრიცხვა. რა თქმა უნდა, ინგლისელებთან შეხვედრა დაუვიწყარია, ისევე, როგორც ბევრი სხვა მატჩი: ჩემპიონთა თასის ფინალი 1986 წელს, თასების მფლობელთა თასის ფინალი 1997 წელს და სხვებიც. ინგლისის ნაკრების დამარცხება კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო რუმინული ფეხბურთის ისტორიაში. საგრძნობი უპირატესობა გვქონდა, გავხსენით ანგარიში და საპასუხო გოლი ფინალური სასტვენის წინ გავუშვით. ძალიან საწყენი იქნებოდა მოგების ხელიდან გაშვება.

● ***თავმდაბლობთ. გადამწყვეტი გოლი ხომ სწორედ თქვენ გაიტანეთ.***

— ეს შეეძლო სხვასაც გაეკეთებინა. უბრალოდ, კარგად ვიცი ჩემი თანაგუნდელისა და მეგობრის გრემ ლე სოს თამაშის მანერა. ისე, როგორც ლე სომ კარგად იცის ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები. იმ საღამოს კი, ისე გამოვიდა, რომ ლე სოს ვაჯობე, რასაც არავითარ შემთხვევაში არ ელოდა ინგლისელების ცენტრალური მცველი ადამსი. ისეთი ძალით დავარტყი, რომ რამდენიმე წამით... გამოვერთე. როცა გამოვფხიზლდი, მივხვდი, რომ გოლი გავიტანე. ეს ინგლისელებს სახეებზეც ეტყობოდათ.

● ***ლე სო არ გაგინაწყენდათ?***

— მაპატიეთ, ეს ხომ სპორტია. ისე მოხდა, რომ იმ საღამოს ჩვენ სხვადასხვა გუნდში ვთამაშობდით. ინგლისელთა შორის იყო კიდევ ერთი ადამიანი, რომელთანაც საუკეთესო ურთიერთობა მაქვს — მათი მწვრთნელი გლენ ჰოდლი. ისიც გავამწარე.

● ***თქვენ ნაკრებში მარჯვენა მცველად თამაშობთ. „ჩელსიში" კი უფრო ხშირად მარჯვენა ნახევარმცველად. რომელია თქვენი ნამდვილი ამპლუა?***

— უნივერსალი ვარ. ვთამაშობ იქ, სადაც მწვრთნელის აზრით, მეტ სარგებლობას მოვიტან: „ჩელსიში" მანთავისუფლებენ დაცვითი ფუნქციებისაგან, პირიქით, მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ჩემი სისწრაფე, ტექნიკა, დარტყმა მარჯვენათი. ნაკრებში კი ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე იონ ლუპესკუ გამოდის, მაგრამ, თუ საჭიროა, წინ გავიჭრები ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ მიყვარს შეტევაზე გადასვლა, როცა ეს მეტოქისათვის მოულოდნელი ხდება.

● ***პრესაში ხშირად გისაყვედურობენ, რომ ზოგჯერ ძალიან ერთობით შეტევით და დაცვითი ფუნქციების შესრულება გავიწყდებათ. რა შეიძლება უპასუხოთ მათ?***

— ზოგჯერ დაცვაში არა ვბრუნდები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მყავს დამზღვევის როლში ალბერტ ფერერი. ალბერტი მეტად შეუპოვარი მცველია და [illegible] ჩემი დახმარების გარეშე [illegible]. მაგრამ, როცა ჩვენს კართან კუთხურს [illegible], ან მეტად მასირებულად [illegible] ვარ. [illegible] დეე, [illegible] ერთი გოლი გაიტანონ, რომელიც „ჩელსის" კარში ჩემს გამო გავა.

● ***[illegible] ამ ინგლისურ კლუბს, რომ თქვენს ქალიშვილს სახელად „ჩელსი" დაარქვით?***

— „ჩელსის" პატრიოტი ვარ, ისევე, როგორც რუმინეთის [illegible] ასეთი სახელი დავარქვი, [illegible]

მოამზადა გიგი თორაძემ

# ნიკოლოზ ბიბილაშვილმა ოქროს გასაღებით შეაღო ევროპის სამბოს ელიტაში შესასვლელი კარები

*(პირველი გვერდიდან)*

იმიტომ, რომ გუშინდელმა ყმაწვილმა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) თამამად შეაბიჯა სამბოს „ვეშაპთა" სამყაროში. თუმცა, მან, გორელმა ნიკოლოზ ბიბილაშვილმა ჯერ კიდევ შარშან მოსინჯა ძალა დიდებში, მას შემდეგ, რაც ევროპის ბრინჯაოს მედლის პრიზიორი გახდა. არის ასეთი წესი, უფროსებთან ასაკით მიახლოებულს, თუ ის უკვე ჩამოყალიბებული ოსტატია, ნებას რთავენ დიდებში იასპარეზოს და ასეთი შეჯიბრება ნიკო ბიბილაშვილისთვის შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატი იყო, სადაც, ევროპისა არ იყოს, მესამე ადგილი ხვდა წილად. და აი, წლეულს, ამ დღეებში, ზემოხსენებული ევროპის ჩემპიონატი მადრიდში. საყმაწვილო ასაკიდან (თუმცა ლიტერატურაში და საუბარში ზოგჯერ 20 წლის ახალგაზრდასაც ყმაწვილს უწოდებენ) ახლადგამოსულთ მეტწილად უჭირთ უფროსთა ამქარში ადაპტაცია და იშვიათად, რომ ვინმემ ასეთებთან ჭიდილში ხელშესახებ წარმატებას მიაღწიოს. ნიკო ბიბილაშვილმა კი ეს პირველსავე ცდაზე შესძლო. თანაც ძალიან შთამბეჭდავად — ევროპის ჩემპიონობა ხომ ამაზე თავისთავად მეტყველებს. 82 კგ წონით კატეგორიაში დღეს „კანონმდებლად" ეს გორელი ბიჭი მოგვევლინა ევროპაში და უნდა ვივარაუდოთ, რომ სულ მალე იგი მთელ პლანეტაზე ანგარიშგასაწევი ფალავანი გახდება.

ევროპის ერთი ჩემპიონი და სამი ბრინჯაოს პრიზიორი, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი — ასეთია საბოლოო მონაგარი. მაგრამ, ბუნებრივია, იბადება კითხვა — კარგია, საშუალო თუ ცუდი ეს მონაპოვარი?

საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე მიიჩნევს, რომ მეტის მიღწევა შეიძლებოდა, სპორტსმენებს ჩემპიონატის წინ თუნდაც ერთი შეკრება რომ გაევლოთ, მედლებისთვის ბრძოლის გზა ეკონომიკურ სიდუხჭირეზე არ გადიოდეს.

ამ თვის ბოლოს მსოფლიო სამბოს უმთავრეს ცენტრში, გორკის ოლქის ქ. ქსტოვოში მსოფლიო თასის გათამაშებაა. ეს შეჯიბრება ახალი ფორმულით ტარდება: გუნდი-გუნდზე და გამარჯვებულს ჯილდოდ ავტომანქანა „გაზელიც" გადაეცემა. ჩვენების გამგზავრება ჯერ კიდევ სათუოა, ისევ და ისევ უსახსრობის გამო. თუმცა, სპორტსმენები და მწვრთნელები არ კარგავენ იმის იმედს, რომ ეგებ ვინმე გულმოწყალე სპონსორი ან სპონსორები გამოჩნდნენ და ჩვენი სამბისტების ახალი საამაყო წარმატების თანაზიარი გახდნენ. ახლა ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, თუ ვინ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობის ბრინჯაოს მედლები მადრიდში. ესენი არიან: დუშელი იაგო მიშელაშვილი (57 კგ), მცხეთელები არჩილ ჩოხელი (68) და დავით ლილუაშვილი (100). არაოფიციალური გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთი — 40 ქ. 2. ბელარუსი — 33, 3. უკრაინა — 29, 4. **საქართველო — 19,** 5. ბელგია — 12, 7. საფრანგეთი — 10, უფრო უკან არიან სამბოს ტრადიციებით, ისეთი მდიდარი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, როგორიცაა აზერბაიჯანი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, ცხადია, ევროპის სხვა ქვეყნებიც...

კიდევ ერთი: „ჩემპიონატის საზეიმო დახურვისას გამოცხადდა, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული სამბოს ქართველი ოსტატი, აწ განსვენებული ივანე გამხიტაშვილი სპორტის ამ სახეობის განვითარებაში შეტანილი უდიდესი პირადი წვლილისათვის სამბოს მსოფლიო ფედერაციის „ოქროს ორდენით" დაჯილდოვდა" — გვითხრა ოლეგ იაძემ.

**თ. თომაშვილი**

# შეხვედრა რომის პაპთან და იტალიის ფეხბურთის მესვეურებთან

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — რომის პაპმა იოანე პავლე II-მ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით მიიღო ეროვნული საფეხბურთო ფედერაციების პრეზიდენტები და გენერალური მდივნები. პაპმა დალოცა ისინი და წარმატებები უსურვა თავიანთ კეთილშობილურ საქმიანობაში.

„ტელევიზია და ფეხბურთი მსოფლიო საოცრებად იქცა, ფეხბურთი ნამდვილად მეტ ყურადღებას იმსახურებს". ეს პაპმა განაცხადა, გვითხრა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ, რომელიც სფფ-ს პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან ერთად მიწვეული იყო ზემოხსენებულ შეხვედრაზე რომის პაპთან.

ჩვენი დელეგაცია შეხვდრია იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს. როგორც 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში იტალიელებთან ერთ შესარჩევ ჯგუფში მონაწილეებს, ცხადია; ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი ერთმანეთთან. მთავარი კი ისაა, რომ ამ ქვეყნების ფედერაციები ყველაფერს გააკეთებენ სტუმრების მაღალორგანიზებულ დონეზე მისაღებად.

# შეხვედრა ძალოსნობის დიდოსტატთან



**საქართველოს** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საკონფერენციო დარბაზი სტუდენტებით, პროფესორ-მასწავლებლებითა და ძალოსნური სპორტის მესვეურებით აივსო. აკადემიის კოლექტივი შეხვდა თავის აღზრდილს, ევროპის პირველობიდან გამარჯვებით დაბრუნებულ სახელოვან ძალოსანს გიორგი ასანიძეს, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებასთან ერთად, მსოფლიოს ახალი რეკორდიც დაამყარა ორჭიდში. შეხვედრა გახსნა და სახელოვან სპორტსმენს აკადემიის სახელით მიესალმა პრორექტორი, პროფესორი დურმიშხან ჩიტაშვილი, ძალოსნობის ფედერაციის თავკაცი რამაზ გურგენიძე, ფედერაციის გენერალური მდივანი, დოცენტი შოთა ბუაძე, აკადემიის პროფესორი ავთანდილ ციბაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სახელოვანი ოლიმპიელი შოთა ქველიაშვილი, აკადემიის დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანი, დოც. მამია ტუღუში, სპორტკლუბის თავკაცი ჰამლეტ ათაბეგოვი, ძალოსნობის პედაგოგი ნიკოლოზ ზუბიტაშვილი, წარსულში ცნობილი ძალოსანი ვაჟა ციხელაშვილი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მდივანი ემზარ ზენაიშვილი. დასასრულს სიდნეის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების პრობლემებზე დამსწრეთ ესაუბრა თვით გიორგი ასანიძე, რომელსაც იქვე გადაეცა აკადემიის კოლექტივის მიერ კეთილი გულით მირთმეული საჩუქრები.

**ნატა ფეიქრიშვილი, ლაშა ტატიკიშვილი, კახა დვინიაშვილი,**
**საქართველოს სპორტის აკადემიის სპორტული ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები.**

მსოფლიო რბენის დღე. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 6 მაისი.

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ვაჟები. ***100 მ:*** 1. კ. ვაჩეიშვილი (აჭ) — 10,9, 2. გ. ჩხაპელია (აფხ) — 10,9, 3. ი. მაქაცარია (ზუგ) — 11,1; ***200 მ:*** 1. ბ. ბადრიძე (თბ) — 21,9, 2. გ. ჩხაპელია — 22,0, 3. ა. პოზიკაილო (თბ) — 23,0; ***400 მ:*** 1. დ. დუბინი — 51,7, 2. ზ. წერეთელი (ორივე — თბ) — 51,9, 3. ე. კირუკჩიანი (ახალც) — 52,5; ***800 მ:*** 1. ა. მეტრეველი — 2.01,1, 2. თ. ბარკალაია (ორივე — თბ) — 2,05,1, 38 გ. იუვარნოვი (გარდ) — 2,06,5; ***1500 მ:*** 1. რამაზ ბექაური (გარდ) — 4,03,2, 2. გ. გოგიტაშვილი (ბორჯ) — 4,20,9, 3. დ. გილაშვილი (საგ) — 4,42,9;; ***5000 მ:*** 1. ჰ. მამიკონიანი (თბ) — 15,57,3, 2. ი. გოგილიძე (გარდ) — 17,21,5, 3. ი. ხაპირაძე (ახმ) — 17,27,5; ***თარჯი, 110 მ:*** 1. ს. ტურიატკო (ქუთ) — 14,4, 2. დ. ილარიანი (გარდ) — 14,2, 3. დ. გვიჩია (ფოთი).

**ქალები.** ***100 მ*** 1. ა. ტოროსიანი (თბ) — 12,6, 2. გ შულაია (ზუგ) — 12,8, 3. მ. ინაშვილი (თბ) — 12,9; 200 მ: 1. მ. ჯააძე (ახმ) — 27,7, 2. ე. ბააევა — 28,4, 3. თ. სუბელიანი (ორივე — თბ) — 30,5; ***400 მ:*** 1. ი. დუბინა — 57,7, 2. თ. ესებუა (ორივე — თბ) — 1,02,4, 3. ნ. ბურნაძე (ბორჯ) — 1,03,4; ***800 მ:*** 1. ნ. კაპანაძე (თბ) — 2,23,8, 2. ს. გობოზოვა (ჭიათ) — 2,25,1, 3. ა. იჭირაული (ახმ) — 5,09,0; ***1500 მ:*** 1. თ. გუთანაიძე (ახმ) — 5,09,0, 2. ნ. ქლივიძე (საგ) — 5,17,4, 3. გ. დეკანაძე (ვანი) — 5,37,9; ***3000 მ:*** 1. ნ. გუთანაიძე — 10,41,0, 2. მ. გუთანაიძე (ორივე — ახმეტა) — 11,41,5.

რაკი შეჯიბრების გამართვა ჩვენში პრობლემად ქცეულა, ზემოხსენებული ღონისძიებების ორგანიზატორებმა ისარგებლეს მომენტით და სტარტზე მძლეოსნობის სხვა დისციპლინების წარმომადგენლებსაც უხმეს. აი, მათი შედეგები. **ქალთა შორის** ***სიმაღლეზე ხტომაში*** ერთი მონაწილე ი. დარახველიძე (თბ) იყო — 170 სმ. ***სამხტომში*** ი. ტოგონიძემ (თბ) 11,36 მ, ხოლო ქ. რურუამ (მარტვილი) — 10,63 მ დაძლია; ***ბირთვის კვრაში*** ადგილები ასე განაწილდა: 1. ქ. კოპალეიშვილი (ვანი) — 11.40, 2. მ. ქევხიშვილი (გარდ.) — 10.45, 3. ს. ადეიშვილი — (სამტრ.) — 9.60. ***სიგრძეზე ხტომა:*** 1. მ. შულაია (ზუგ.) — 5.22, 2. ი. ტოგონიძე — 5.09, 3. გ. ჯოჯუა (მცხ) — 5,07. ბადროს ტყორცნაში თბილისელ ნ. ძიძიშვილს კონკურენტი არ ყოლია — 29,12. შუბშიც ერთი მონაწილე იყო — ხონელი ე. კეთილაძე — 35,0.

**ვაჟები.** ***სიმაღლეზე ხტომა:*** 1. გ. მაისურაძე — 1,75, 2. ლ. ბექაური (ორივე — გარდ) — 1,65, 3. გ. წოწოლაშვილი (ქარელი) — 1,65. ***სიგრძე.*** 1. დ. ილარიანი — 7,04, 2. მ. მერაბიშვილი (თბ) — 6,05, 3. ს. ქადეიშვილი (ოზურგ.) — 5,74; შუბი: 1. ზ. შეთეკაური — 65,20, 2. რ. ჭინჭარაული (ორივე — დუშეთი) — 59,0, 3. გ. ლვთისიაშვილი (მცხეთა) — 47,20; ***ბირთვი:*** 1. მ. ტუღუში (ოზურგ.) — 16,58, 23. რ. ჭინჭარაული — 16,07, 3. ზ. გიგია (მარტვ) — 14,24. ***ბადრო:*** 1. დ. ბინჩუკოვი — 37,72, 2. ხ. ჩაკვეტაძე — 23,35, 3. ბ. ჭანტურია (სამივე — თბ) — 21,92.

# პროფკავშირის „ქართული ვარიანტი" ჩვენს საფეხბურთო სამყაროში

*ასე უწოდებენ ფეხბურთელთა, ფეხბურთის მუშაკთა და ვეტერან ფეხბურთელთა პროფკავშირს, რომელიც ზუსტად დამოუკიდებელი სფფ-ს ხნისაა და თავისი საქმიანობით, მართლაც სიცოცხლისუნარიან ორგანიზმად რჩება ქვეყნის მინავლებულ და აბსურდულ პროფკავშირულ ცხოვრებაში. მთელი ეს 10 წელიწადი ხსენებულ ორგანიზაციას სათავეში უდგას უნარიანი მუშაკი ილო მჭედლიშვილი. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ საქართველოს საფეხბურთო სამყაროს სჯერა ამ პროფკავშირის, სჯერა მის წევრებს, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველებს. მართალია, უსახსრობამ ცხოვრების ყველა სფეროს დარია ხელი, მაგრამ ეს პროფკავშირი მაინც ახერხებს თანხების მიზიდვას. ეხმარებიან ქვეყნის გარედანაც. ყოველთვიურად 5-6 კაცი მაინც იღებს რაღაც შემწეობას. ფეხბურთის ფედერაცია კი პროფკავშირულ ორგანიზაციას არასოდეს ტოვებს უყურადღებოდ. ამ დღეებში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვისაც გაიცა დახმარება და საჩუქრები.*

*„შევდივართ წინადადებით სფფ-ში შემოსული ჯარიმის თანხებიდან ნაწილი პროფკავშირებს გადაეცეს. ვფიქრობ, ეს სამართლიანი იქნება" — ამბობს ილო მჭედლიშვილი.*

# ოლიმპიური ჩირაღდანი გზას გაუდგა

*ოლიმპიური ჩირაღდნის მზის სხივებისგან ანთება ოლიმპიაში, ზევსის ტაძართან, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ტრადიციული ატრიბუტია. ეს რიტუალი ახლა სიდნეიში ოლიმპიადამდე 4 თვით ადრე შესრულდა. ჩირაღდნის ანთების პატივი წილად ხვდა გამოჩენილ ბერძენ მსახიობ ქალს ტოლია პროკოპიუსს. ცხადია, ჩირაღდანი გზას გაუდგა, მაგრამ, როგორც იუწყებიან, დასაწყისშივე იჩინა თავი სკანდალმა — სპორტსმენი, რომელსაც ესტაფეტა უნდა მიეღო, მოულოდნელად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ქალბატონის ქალიშვილმა შეცვალა (?!..)*

# მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ვეტერან სპორტსმენს და ღვაწლმოსილ სპორტულ მუშაკს ***რევაზ ტრაპაიძეს.***

# ღვაწლმოსილი

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ თუკი ვინმეს შესამჩნევი კვალი დაუტოვებია, როგორც მწვრთნელს და სპორტის ფუნქციონერს, მათ რიცხვში უდავოდ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია რევაზ ტრაპაიძე — კაცი, რომლის სახელი ნახევარ საუკუნეზე მეტია, გაიგივებულია მძლეოსნობასთან. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, სსრ კავშირის რეკორდსმენმა, 50-იანი წლების პირველ ნახევარში სსრ კავშირის ნაკრების წევრმა და ჰელსინკში ოლიმპიური თამაშების კანდიდატმა რევაზ ტრაპაიძემ უდიდესი წვლილი შეიტანა მძლეოსნობის განვითარებაში.

საქართველოს მძლეოსნებმა თვალსაჩინო წარმატებებს 1960-1973 წლებში მიაღწიეს. სწორედ იმ წლებში, როცა რ. ტრაპაიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტკომიტეტში მძლეოსნობის განყოფილებას სახელმწიფო მწვრთნელის თანამდებობაზე. შემდეგ იგი სათავეში ედგა უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლას და ნაკრები გუნდის მზადება-მონაწილეობას ხალხთა V სპარტაკიადასა და საკავშირო ჩემპიონატებში. მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს საქართველოს მძლეოსნებმა ოქროს — 4, ვერცხლის — 2 და ბრინჯაოს — 3 მედალი, მიითვალეს არაერთი გამარჯვება საკავშირო და ევროპის ჩემპიონატებში.

კარატე-დო ● საერთაშორისო ტურნირი

# შინ მედლებით და... იაპონური ხმლით...

რუსეთის ქალაქ დუბნაში მსოფლიო შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ეგიდით და ამ ფედერაციის პრეზიდენტის ჰიტოში კასუიას ხელმძღვანელობით ჩატარდა უკვე ტრადიციად ქცეული საერთაშორისო ტურნირი დსთ-ს ქვეყნებისთვის. მონაწილეობდნენ 8 ქვეყნის სხვადასხვა ასაკის (უმცროსთა დაბალი ზღვარი იყო 8 წელი) კარატისტები. საქართველოდან სამი უმცროსი ასაკისა და სამიც უფროსთა ჯგუფის წარმომადგენელი ჩაება ასპარეზობაში. უფროსებში გუნდური პირველობა მოიპოვა საქართველოს სამეულმა (გიორგი გორდაძე, დათო ჟვანია, გიორგი ნადირაძე), უმცროსებში კი ჩვენები მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ (ლევან გელდიაშვილი, დათო კანდელაკი, დათო ტყებუჩავა).

აღსანიშნავია, რომ ტურნირი ჩატარდა რუსეთის დუმის პატრონაჟობით და არაერთი სუვენირი თუ პრიზიც დააწესა გამარჯვებულთა თუ პრიზიორებისათვის. მაგრამ ჯილდოებს შორის იყო ერთი განსაკუთრებით გამორჩეული – იაპონური ხმალი, რომლითაც დსთ-ს ქვეყნებში კარატეს პოპულარობასა და განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის დაჯილდოვდა მსოფლიო ფედერაციის დირექტორატისა და ტექნიკური კომიტეტის წევრი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეფ-ინსტრუქტორი, მსოფლიო აღმოსავლური ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია.

მარცხნიდან. I რიგში: ლევან გელდიაშვილი, დათო კანდელაკი, დათო ტყებუჩავა; II რიგში: გიორგი გორდაძე, დათო ჟვანია, გიორგი ნადირაძე.



წინა ნომრის მე-7 გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ხდება ქვეყანაზე

## ურომ იმსხვერპლა

18 წლის მორბენალი ჩეხი გოგონა ზუზანა კრეიჩკოვა ქალაქ ტურნოვოს სტადიონზე შეიწირა ბრმა შემთხვევამ. ამის მიზეზი მსოფლიო-99 ჩემპიონატის ფინალისტის ვლადიმერ მაშეკის ნატყორცნი ურო აღმოჩნდა.

კრეიჩკოვა დასასვენებლად ჩამოჯდა სტადიონის მინდვრის სექტორთან, სადაც უროს მტყორცნელები ვარჯიშობდნენ. ცნობილი ჩეხი უროსმტყორცნელის 7-კილოგრამიანი იარაღი ასცდა სექტორის ზღვარს და სპორტსმენ გოგონას მოხვდა თავში. კრეიჩკოვა ვერტმფრენით დაუყოვნებლივ მიიყვანეს ახლომდებარე ქალაქ ლიბერცეს ჰოსპიტალში, მაგრამ მედიკოსების ყოველგვარი ცდა ამაო იყო, გოგონა გარდაიცვალა.

კრეიჩკოვა დიდ იმედებს იძლეოდა. ჩეხიაში წლევანდელი ზამთრის პირველობაზე დარბაზში მეხუთე ადგილი ერგო 800 მ. რბენაში. ამ ტრაგედიის გამო მთლად მოშლილმა მაშეკმა უკვე განაცხადა მძლეოსნობიდან წასვლის შესახებ.

## ოლიმპიზმშიც „ეძებეთ ქალი" (!)

ამ ფრთიან ფრანგულ გამოთქმას ვერც ოლიმპიური მოძრაობა გადაურჩა, მაგრამ, საბედნიეროდ, ამჯერად პოზიტიური „საქმენი აკეთა". ლაპარაკია ავსტრალიის წყალბურთელ ქალთა იმ დიდ როლზე, რომლის წყალობითაც მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშები კიდევ ერთი სახეობით გაამდიდრა. დიახ, სწორედ მწვანე კონტინენტის „წყლის ფერიებმა" დაარწმუნეს სოკი, რომ სიდნეის თამაშების პროგრამაში აუცილებელია იყოს ქალთა წყალბურთიც. მათ პირადად სოკ-ის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს მიმართეს და ეს წარმატებით დაგვირგვინდა.

„რეიდ აკუატოკ სენტრის" აუზის მშენებლობა, სადაც თამაშებზე წყალბურთელ ქალთა და ვაჟთა ტურნირის შერჩევითი შეხვედრები გაიმართება, 15 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა. ეს ბოლო სტაციონალური ოლიმპიური ნაგებობაა, ხუთი თვის შემდეგ კი კიდევ ერთ სპორტულ სარბიელს გააშენებენ — პლაჟის ფრენბურთის დროებით მოედანს ბონდში. ისე კი, ოლიმპიადა-2000-ის მასპინძლებმა თითქმის ყველა სპორტული ნაგებობის მშენებლობა ჯერ კიდევ შარშან დაამთავრეს. ისე რომ, სიდნეი უკვე კარგა ხანია მზადაა მოასპარეზე სპორტსმენებისა და თამაშების მრავალათასიანი სტუმრების ჯგუფის მისაღებად.

## პროფესიული კრივის სამყაროში



# ღრმა და პირდაპირი ვიქტორ კორჩნოი

ამას წინათ 69 წლის ვიქტორ კორჩნოიმ, თუმცა კარგა ხანია შვეიცარიის მოქალაქეა, მონაწილეობა მიიღო რუსეთის გუნდურ ჩემპიონატში (ფიდეს დებულებით, ეს სავსებით დასაშვებია), სადაც მეორე დაფაზე ითამაშა „ლენტრანსგაზის" შემადგენლობაში ახალგაზრდა ვარსკვლავ პეტრ სვიდლერის შემდეგ. ამის მერე უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებზე, სადაც აქტუალურ საჭადრაკო პრობლემებს შეეხო.

— სამი მატჩი ვითამაშე კარპოვთან მსოფლიო პირველობაზე და სამჯერვე დავმარცხდი. დრამაა? რა თქმა უნდა, ჩემი გულშემატკივრები მაშინაც მიიჩნევდნენ და ახლაც ასე ფიქრობენ, რომ არ შემეძლო დამემარცხებინა საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც კარპოვს უჭერდა მხარს. ისინი ბევრ რამეში მართლები არიან, მაგრამ ეს სიმართლე სულაც არ არის აბსოლუტური. შემდეგ ხომ კარპოვისა და კასპაროვის ბრძოლაში, საბჭოთა კავშირი კვლავ კარპოვს ემხრობოდა, მაგრამ კასპაროვმა კი გაიმარჯვა.

● *რამდენად ძლიერია დღეს კასპაროვი?*

— დღეისათვის ის ყველაზე ძლიერია, აი კარპოვმა კი ამოწურა თავისი შესაძლებლობები. კასპაროვთან ბრძოლას მან მთელი თავისი ენერგია შეალია. კარპოვი შემდეგშიც ყოველწლიურად გაიუარესებს რეიტინგს, საშუალოდ ყოველ წელს 20 პუნქტს დაკარგავს. 5 წლის შემდეგ კი, შეიძლება საერთოდ აღარ მიიწვიონ ტურნირებში, რადგან იმ დიდოსტატების კლუბს დატოვებს, რომლებსაც 2600-პუნქტიანი რეიტინგი აქვთ.

ვიქტორ
კორჩნოი

● *ვინ შეიძლება კასპაროვს დაუპირისპირდეს?*

— ყველაფერი შერჩევის სისტემაზეა დამოკიდებული. დღეისათვის ფიდე თავს ვერ ართმევს იმ სისტემას, რომელმაც კასპაროვისათვის ღირსეული მეტოქე უნდა შეარჩიოს. თუკი ამას ფიდე ვერ ერევა, მაშინ, ჩანს, მეტოქე, თვით კასპაროვმა უნდა შეარჩიოს. აქ კი სუბიექტივიზმს სრული გასაქანი ეძლევა. და აი, კასპაროვი აცხადებს: „არ მინდა შიროვთან თამაში, იგი ხალხს არ უყვარს! არ მინდა ანანდი! ანანდთან თამაში არ მსურს!" მთავარი კი ის გახლავთ, რომ ჭადრაკში წესრიგი არ არის. ადრე იყო ეს წესრიგი, ყველაფერს აგვარებდნენ ადამიანები, რომლებიც აშკარად არ იყვნენ, რომ იტყვიან, ვერცხლის მოყვარულები. პირველი დარტყმა კი საჭადრაკო წესრიგს ფილიპინელმა, ბატონმა კამპომანესმა მიაყენა, რომელმაც თავისთვის წლიური ხელფასი — 100 ათასი დოლარი დააწესა. შემდეგში უფრო მეტიც მოხდა: ახლა კირსან ილიუმჟინოვი ლას-ვეგასის დიდი სასტუმროდან გამოდის და სიყვარულს უხსნის მეორე ბიზნესმენს — არტემ ტარასოვს. რაზე საუბრობენ? რა თქმა უნდა, ჭადრაკზე არა (ყოფილი რუსი ბიზნესმენი არტემ ტარასოვი ახლა ლონდონში ცხოვრობს და პრეზიდენტ ილიუმჟინოვთან ერთად ჭადრაკის ფინანსურ საქმეებს განაგებს — *რედ.*)

ახლა დიდოსტატებს თავის სისტემას ფიდე კი არა, ტარასოვი კარნახობს, რაღაცა უცნაური ტალონები შემოიღო, მონაწილეთა ბარათები, რომელიც ყველა მოჭადრაკემ, რომლის რეიტინგი 1500-ს აღემატება, მისგან უნდა შეიძინოს. ერთი სიტყვით, ჭადრაკი ისეთი ადამიანების ბიზნესი გახდა, რომლებიც ჭადრაკიდან შორს დგანან. ასეთ ვითარებაში აღშფოთება გერმანიის საჭადრაკო ფედერაციამ გამოთქვა, ვფიქრობ, მას ბევრი სხვა ქვეყნის ფედერაციაც შეუერთდება.

● *როგორ გესახებათ მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლა XXI საუკუნეში?*

— ყველაფერს სჭირდება გარდაქმნა. ყველაფერი წინ მიდის, ჭადრაკიც ვითარდება, დიახ, რასაც ილიუმჟინოვი აკეთებს, ეს თავისებურად საინტერესოა, მაგრამ ჭადრაკის არსის გამოცარიელებასთან რომ ასე ახლოა?! ბოტვინიკის, სმისლოვის, ტალის, პეტროსიანის მატჩებზე აღვიზარდე, მათი პარტიების სწავლით დავხელოვნდი. ახლა ვის რა უნდა ასწავლოს ბლიც-პარტიებმა, სწრაფად დამთავრებულმა ტურნირებმა?

საერთოდ კი, ჭადრაკი, სახიფათო, საზიანო თამაშია. თუ ძლიერი დამხმარეები, მფარველები არა გყავს, წელიწადში, რათა პურის ფული იშოვნო, 200 პარტია მაინც უნდა ითამაშო. ეს ჯანმრთელობისათვის, ფსიქიკისთვის მეტისმეტი დატვირთვაა. კიდევ კარგი, რომ არიან ჭადრაკზე შეყვარებული სპონსორები. ისინი პროფესიონალი მოჭადრაკეები არ არიან, ისინი ეხმარებიან ტალანტებს, ყველაფერს აკეთებენ, რომ ჭადრაკი კვლავ პოპულარული იყოს, მატებენ აზარტს, რომელიც ასეთნაირად არსად არის, ჭადრაკის გარდა.

რაც შეეხება კასპაროვისა და კრამნიკის მატჩს, იქ ბრძოლა, რა თქმა უნდა, იქნება, თუმცა, კასპაროვმა თავისთვის დღეისათვის ყველაზე ძლიერი პრეტენდენტი როდი შეარჩია.

# ლიუისი არც ისე „მოსაწყენია"

ინგლისელ მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონაში WBC და IBF ვერსიებით ლენოქს ლიუისს ამერიკაში საკმაოდ მოსაწყენ მებრძოლად მიიჩნევენ, აქაოდა, მეტწილს დაცვაში ატარებსო. მაგრამ ასეთი არასახარბიელო რეპუტაცია ლენოქსმა სრულიად გააქარწყლა ამას წინათ ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის" ცნობილ არენაზე, სადაც ამერიკელ მაიკლ გრანტს ხვდებოდა. მან საუკეთესო წლების მაიკ ტაისონი გაახსენა მაყურებელს.

ბრძოლის დებიუტი გრანტის მხარეზე აღმოჩნდა, რომელიც მანოკაუტებელი დარტყმის იმედით, რითაც ადრე მეათე რაუნდში ცნობილ პოლონელ ანჯეი გოლოტისთან შეხვედრას წერტილი დაუსვა, ორჯერ მიეჭრა და მისწვდა კიდეც მეტოქეს საგრძნობი დარტყმებით მარჯვნიდან. ამას ცივსისხლიანი ბრიტანელი მშვიდად შეხვდა და ხელსაყრელ მომენტს დაუდარაჯდა.

და მართლაც, ლიუისის ორ შეტევას ზედიზედ ნოკდაუნები მოჰყვა, შემდეგ — მესამე, რომელიც გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო, რადგან სამი ნოკდაუნი დამარცხებას ნიშნავს, მაგრამ მეტოქეს გონგმა მოუსწრო და იხსნა იგი. ეს ყველაფერი პირველ რაუნდში მოხდა.

შესვენების შემდეგ, რაუნდის ბოლო წუთზე მოხდა მოსახდენი. გრანტმა მეტოქის მორიგი შეტევის აცდენა სცადა, გადაიზნიქა, მაგრამ ძლიერი შემხვედრი დარტყმა იგემა ქვემოდან — აპერკოტი, რამაც იგი იატაკზე გაშხლართა — ნოკაუტი.

# ...და მაინც რივერსი

ნბა-ს ცნობილი გუნდის „ორლანდო მეჯიკის" მთავარ მწვრთნელს დოკ რივერსს გადაეცა სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტრადიციული ჯილდო – რედ აუერბახის პრიზი. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ლაურეატის გუნდი ვერ მოხვდა პლეი-ოფის ტურნირში და მაინც იგი უძლიერესად სცნეს. „მეჯიკმა" ჩემპიონატის 41 მატჩი მოიგო და ამდენივე წააგო. ეს არ ითვლება ცუდ შედეგად კლუბისათვის, რომელმაც სეზონებს შორის სასტარტო ხუთეულის 4 კალათბურთელი დაკარგა, მათ შორის ე. ჰარადუეი. რივერსს ჟიურის 121 წევრიდან 60-მა მისცა ხმა. მას 7 ხმით ჩამორჩა „ლოს-ანჯელესის კლუბის მწვრთნელი, რომელსაც დღეს გუნდში უძლიერესი კალათბურთელები ჰყავს. გარდა ამისა, დოკ რივერსი დასახელებულია სადებიუტო წლის საუკეთესო მწვრთნელად.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



### 12 მაისი, პარასკევი

***საქართველოს ტელევიზია. საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.50). ***НТВ плюс футбол.*** „ევრო-2000"-ის გზებზე (13.55), ჰოლანდიის (15.20, 23.40), შოტლანდიის (17.05, 1.25), რუსეთის (19.55), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. პლეი-ოფი, პირდაპირი ტრანსლაცია (7.00), ფეხბურთი. ესპანეთის საფეხბურთო მიმოხილვა (15.00), ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (12.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00).

### 13 მაისი, შაბათი

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „სტადიონი" (19.20). ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.10), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი". (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (15.00), ***4и.*** ფეხბურთი. იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატი (23.20), ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (15.50), გერმანიის (18.25, 21.55), რუსეთის (20.20), „შაბათის საღამო" იტალიის და ესპანეთის (23.30, 2.05) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 13.00), ჩემპიონთა ლიგა: რეალი — ბაიერნი (10.30), ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (22.30), იტალიის (23.30, 8.30) და ჰოლანდიის (1.30) საფეხბურთო მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის პირველობა 16-წლიანთა შორის (13.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00), მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის პირველობა (2.15).

### 14 მაისი, კვირა

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.40). ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (21.00), საქართველოს ხმა. „მსოფლიო სპორტი" (21.00), ***4и.*** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (23.20), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის (13.15, 22.45), რუსეთის (15.00), იტალიის (17.25, 23.25), ინგლისის (19.55), ესპანეთის (1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** ფეხბურთი: ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (10.00), ჩემპიონთა ლიგა. ვალენსია — ბარსელონა (10.30), ინგლისის პრემიერლიგა (19.30, 21.30), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.30), კალათბურთი. ნბა. პლეი-ოფი, პირდაპირი ტრანსლაცია (2.00).

## საჭადრაკო ამოცანა

### ო. მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ეb1! 1. ..მფ:b1 2. ლd1X.
1. ..მფd2 2. ლf2X. 1. ...d2 2. ლe4X.

## კროსვორდი №37

**თარაზულად:** 5. ფორმის ტანსაცმელი ანუ.. 6. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 8. ქართველ თავადთა გვარი, 9. შეჯიბრების საწყისი, 11. სიმდიდრე, საუნჯე, ლარი... 13. ცნობილი ნაყინი, 18. ამერიკული მედიკამენტი, რომელთან ერთად ადვილია ცხოვრება, 20. პარაგვაის ნაკრების მცველი ფეხბურთში 1998 წლის მ/ჩემპიონატზე, 21. გერმანული საფეხბურთო კლუბი, 22. საფარიკაო იარაღი, 23. დიდი სპორტული ნაგებობა, 24. წარსულში ცნობილი ჩრდ. კავკასიელი ფალავანი.



**შვეულად:** 1. სუმოს მიმდევარი, 2. თილისმა სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, 3. ცნობილი ვეტერანი ქართველი ხელბურთელი ვაჟი, 4. ორადგილიანი ველოსიპედი, 10. სასკოლო ნივთი, 11. პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი 1966 წლის მ/ჩემპიონატზე, 12. მსოფლიო სამგზის ჩემპიონი ქვეყანა ფეხბურთში, 14. სპორტსაზოგადოება ესტონეთში, 15. მსოფლიოში ცნობილი სპორტული ნაწარმის ფირმა, 16. აღმოსავლური სამაგიდო თამაში, 17. ხორვატიის საფეხბურთო კლუბი, ახლანდელი „დინამო". 19. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 21. ცნობილი ვეტერანი ქართველი ფალავანი, ევროპის ორგზის ჩემპიონი ბ/რ ჭიდაობაში.

## კროსვორდი №36-ის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ეჩევერია, 5. ბაიდარა, 6. საბონისი, 9. ფოთი, 10. ბალი, 11. ანი, 12 აპერკოტი, 14. ბადრო, 15. დებიუტი, 18. გეიმი, 19. „სანდერლენდი", 22. „ვალენსია", 23. ბარქაია, 26. ქორიძე, 28. როქი, 31 არეკნი, 33. პიჩერი, 34. ჟორდანია, 35 აპელაცია. **შვეულად:** 2. ვიალი, 3. ბირთვი, 4. კრამნიკი, 7. ოფსაიდი, 8. პასარელა, 9. ფიორენტინა, 13. ბურე, 16. ადიდასი, 17. მესხი. 20. დევისი, 21. „აია", 24. ქორქია, 25. ეტაპი, 27. ედმუნდო, 29. ქარტია, 30. მჩატე. 32. კროსი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანა რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი.